

619
1986

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

ბიბლიოთეკა

მ ა რ ტ ი
№ 3 1986 წ.



**საბჭოთა
კავშირის
კომუნისტური
პარტიის
XXVII ყრილობა.**

თითქოს გვიანი, ნათელი გაზაფხული ზეიშობს კრემლის შრილობათა დარბაზში.

XXVII ყრილობაზე მისასაღებლად მოვიდნენ საბჭოთა არმიის, საბჭოთა ახალგაზრდობისა და პიონერთა წარმომადგენლები.

სურათებზე: დარბაზში მისასაღების დროს.





ქართული
კომუნისტური
პარტია



ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა ყრილობის დასურვისას

ძვირფასო ამხანაგებო! XXVII ყრილობა მუშაობას ამთავრებს.

ისტორიის საქმეა ობიექტური შეფასება მისცეს მის მნიშვნელობას. მაგრამ დღესვე შეგვიძლია ვთქვათ: ყრილობამ ჩაიარა ატმოსფეროში, რომელსაც ახასიათებდა პრინციპულობა და ერთიანობა, მომთხოვნელობა და ბოლშევიკური სიმართლე, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაუფარავი გამომჟღავნება, ჩვენი საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობების ღრმა ანალიზი. მან მაღალი ზნეობრივი, სულიერი ტონი მისცა პარტიის საქმიანობას, მთელი ქვეყნის ცხოვრებას. (ტაში).

ამ ტრიბუნაზე ამოსვლისას დღეგატები გულანდილად აყენებდნენ საკითხებს, მძაფრად ამხილებდნენ იმას, რაც ხელს უშლის ჩვენს საერთო საქმეს, უკან ეწევა მას. ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა პარტიის ყველა რგოლის, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. არსებითად კრიტიკული ანალიზის ფარგლებს მიღმა არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი სფერო. ყოველივე ეს, ამხანაგებო, შეესაბამება საუკეთესო პარტიული ტრადიციების სულისკვეთებას, ბოლშევიზმის სულისკვეთებას. (ტაში).

ექვს ათწლეულზე მეტი ხნის წინათ XI ყრილობაზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის გამო გა-

მართულ დისკუსიას რომ ამთავრებდა, ვ. ი. ლენინმა გამოთქვა პრინციპული მნიშვნელობის აზრი: „ყველა რევოლუციური პარტია, რომელნიც დღემდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ ყოყოობდნენ და იმის უნარი კი არ შესწევდათ, რომ დაენახათ, რაშია მათი ძალა, თავიანთ სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა ეშინოდათ. ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ, რომ არ გვეშინია ვილაპარაკოთ ჩვენს სუსტ მხარეებზე, და ვისწავლით სუსტი მხარეების დაძლევას“. (ხანგრძლივი ტაში).

სწორედ ასე, ლენინურად ვმოქმედებით კიდევ ჩვენს ყრილობაზე. სწორედ ასე ვიმოქმედებთ კვლავაც! (ტაში).

ყრილობამ პასუხი გასცა ძირეულ საკითხებს, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა პარტიის, საზოგადოების წინაშე, მან შეაიარაღა თითოეული კომუნისტი, თითოეული საბჭოთა ადამიანი მომავალი ამოცანების მკაფიო ხედვით. ყრილობამ ცხადყო, რაოდენ სწორად მოვიქცით, როცა აპრილის პლენუმზე სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების კონცეფცია დავსახეთ. დაჩქარების იდეა მსჭვალავდა მთელ ჩვენს ყრილობისწინა საქმიანობას, იგი იყო ყრილობის ყურადღების ცენტრში, განსახიერდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებით, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციით და მისი წესდების ცვლილებებით, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე

ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით. ამ დოკუმენტებმა ყრილობის დღეგატების სრულ მხარდაჭერა და მოწონება პოვა. (ტაში).

პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიღებული და დამტკიცებული გენერალური გეზი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების გეზი სკკპ XXVII ყრილობის მთავარი პოლიტიკური შედეგია. (ტაში). ამიერიდან იგი ხდება ცხოვრების კანონი პარტიისათვის, მისი ყოველი ორგანიზაციისათვის, მოქმედების სახელმძღვანელო კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის. (ტაში).

ჩვენ გვესმის რა დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს ისტორიის წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რა უზარმაზარ ტვირთს ეტვირთება იგი, როცა დაჩქარების სტრატეგიას სახავს. მაგრამ დარწმუნებული ვართ სწორედ ასეთი სტრატეგიის საარსებო საჭიროებაში. (ტაში). დარწმუნებული ვართ მის რეალობაში. სოციალიზმის უმრეტეს შესაძლებლობებსა და უპირატესობებზე, ხალხის ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობით ჩვენ შევძლებთ ყოველივე იმის განხორციელებას, რაც ჩავიფიქრეთ. (ტაში).

მივადწიოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას — ნიშნავს, სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის სრულყოფის მეშვეობით ახალი მძლავრი სტიმულები მივცეთ საწარმოო

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გიგლიოთიქა

ძალების ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ავამოქმედოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის უზარმაზარი რეზერვები.

მივალწიოთ დაჩქარებას — ნიშნავს, მჭიდროდ დაუკავშიროთ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება შრომის ეფექტიანობას, შევეხამოთ ერთმანეთს ადამიანისათვის ყოველმხრივი ზრუნვა სოციალური სამართლიანობის პრინციპების თანამიმდევრულ განხორციელებას და უზრუნველყოთ აქტიური და ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

მივალწიოთ დაჩქარებას — ნიშნავს, გავალრმავოთ დემოკრატია, განუხრელად განვაითაროთ ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა, გავაფართოოთ საჯაროობა პარტიისა და საზოგადოების ცხოვრებაში და გასაქანი მივცეთ ყოველი მშრომელის, ყოველი კოლექტივის ინიციატივასა და თვითმოქმედებას.

მივალწიოთ დაჩქარებას — ნიშნავს, უფრო მჭიდროდ დაუკავშიროთ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა ცხოვრების რეალურ პრობლემებს, თავი ვანებოთ ლაყბობას და ჭკუის დარღვევას, გავაძლიეროთ დაკისრებული საქმიანობის პასუხისმგებლობა და ეს მუშაობა მივუახლოოთ ადამიანს, წარვმართოთ სიძნელეების დასაძლევად, ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყოველივე ეს, ამხანაგებო, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ და უნდა გავაკეთოთ კიდევ! **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობის შემდგომ პერიოდს იწყებს უფრო ორგანიზებული, შეკავშირებული და ბრძოლისუნარიანი, მოფიქრებული გრძელვადიანი პოლიტიკით. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იმოქმედოს მიზანსწრაფულად, რადგან ხედავს მის წინაშე მდგომი ამოცანების მთელ სირთულეს, მასშტაბურობას და სიხალეს, არ ეშინია სიძნელეების და დაბრკოლებებისა.

ყოველ საბჭოთა ადამიანს უნდა გავაცნოთ ყრილობის გადაწყვეტილებათა არსი და სულისკვეთება. და არა მარტო განუუმარტოთ მისი პრინციპული დებულებანი, არამედ პრაქტიკულადაც მოვაწყოთ მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენს ყრილობაზე და ყრილობისწინა პერიოდში შემოვიდა ძალზე ბევრი საინტერესო წინადადება, გამოითქვა ღრმა აზრები. ისინი ყურადღებით უნდა განვიხილოთ, მივალწიოთ, რომ ყოველივე ღირებული და საქმიანი ხორციელდებოდეს. **(ტაში).**

ახლა უმთავრესია გადავაქციოთ შთანაფიქრის ენერგია კონკრეტული მოქმედების ენერგიად. **(ტაში).** კარგად თქვა ამის თაობაზე ჩვენი ყრილობის დელეგატმა, ბელგოროდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასილ იაკობის ძე გორინმა:

„მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყოველ შრომითს კოლექტივში მიმდინარეობს განახლებისა და გარდაქმნის ძნელი, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, — შეუქცევადი პროცესი. იგი საბჭოთა ადამიანების გონებასა და გულს მსჭვალავს და მოითხოვს ყოველი ჩვენგანის ნამდვილ თავდადებას. უწინარეს ყოვლისა — შრომაში“.

დაახ, ამხანაგებო, დაჩქარება, რადიკალური გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში — ეს არის არა უბრალო ლოზუნგი, არამედ კურსი, რომელსაც პარტია მტკიცედ და განუხრელად გაატარებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ბევრმა დელეგატმა თქვა, რომ სიხალეს, პროგრესულს სერიოზულ დაბრკოლებად ეღობება გზაზე უწყებრიობა, კუთხურობა, ქაღალდმთხველობა, სხვა ბიუროკრატიული ბარიერები. მინდა აღვითქვათ, ამხანაგებო, რომ ცენტრალური კომიტეტი ვადაპრით აღკვეთს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების გზაზე შემორჩენილ ყველა დაბრკოლებას, განამტკიცებს დისციპლინასა და წესრიგს, და ორგანიზაციულ, მორალურ და მატერიალურ წინამძღვრებს შეუქმნის შემოქმედების, თამამი ძიების, სოციალისტური გერგილიანობის ყოველმხრივ განვითარებას. **(ტაში).** დარწმუნებული ვარ, ეს მთელი პარტიის, ყველა მშრომელის ფართო და აქტიურ მხარდაჭერას პოვებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყრილობის დებულებათა შესასრულებლად მიმდინარე მუშაობის ორგანიზატორები არიან პარტიული კომიტეტები; ყველა კომიტეტი — თავიდან ბოლომდე სტილი, რომელიც ახლა გვმართებს, — ეს არის კონკრეტულობა, საქმიანი მიდგომა, თანამიმდევრულობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ყველაზე ეფექტიანი მეთოდებისა და საშუალებების არჩევა, ადამიანთა მოსაზრებების საგულდაგულო გათვალისწინება, მთელი საზოგადოებრივი ძალების მოქმედების მარჯვე კოორდინირება.

საბოლოოდ უნდა დავძლიოთ ინერტულობა, ფორმალიზმი, გულგრილობა, ფუჭი, უთავბოლო და უმაქნისი ლაყბობით ცოცხალი საქმის ჩაკვლის ჩვევა, „გარდაქმნებზე მორგების“ ცდები.

ყრილობის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის არის, რომ ყველა პარტიულმა კომიტეტმა უნდა იმოქმედოს, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნამდვილმა ორგანომ. **(ტაში).** საბოლოო ანგარიშით, პარტიის XXVII ყრილობის გენერალური გეზის განხორციელებისათვის მთელი ჩვენი ბრძოლის წარმატებას განსაზღვრავს ხალხის უფართოესი მასების შეგნებული მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ამხანაგებო. **(ტაში).** დადგა ენერგიული და ერთსულოვანი მოქმედების დრო. პარტია მოუწოდებს ყოველ კომუნისტს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს აქტიურად ჩა-


ებან იმ დიდ მუშაობაში, რომლის მიზანია ხორცი შევასხათ ჩვენს გეგმებს, სრულყოთ საბჭოთა საზოგადოების განვითარებით ჩვენი მშობლიური სოციალისტური სახლი. **(ტაში).**

ამხანაგებო! ყრილობამ კვლავ ცხადყო სოციალიზმისა და მშვიდობის, მშვიდობისა და აღმშენებლობის განუყრელობა. სოციალიზმი თავის ისტორიულ მისიას ვერ შეასრულებდა, სათავეში რომ არ ჩასდგომოდა ბრძოლას, რომლის მიზანია ახსნას კაცობრიობას ომის ვაებისა და ძალადობის ტვირთი. საბჭოთა პოლიტიკის მთავარი მიზანია დაუმკვიდროს მთელ ხალხებს ამ ქვეყანაზე უშიშროება და სამართლიანობა. **(ხანგრძლივი ტაში).** ომისა და საომარი სამზადისის წინააღმდეგ, სიძულვილისა და ძალმომრეობის ქადაგების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ მიგვაჩნია მთელი საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიზაციის, პლანეტის პოლიტიკური კლიმატის ნამდვილი გაჯანსაღების განუყოველ ნაწილად. **(ტაში).**

ბირთვულმა საფრთხემ ერთ რამეში გაათანასწორა სახელმწიფოები: დიდ ომში ვერავინ შეძლებს განზე გადგეს გამოდარების მოლოდინში, ან ხელი მოითბოს სხვის უბედურებაზე. თანაბარი უშიშროება დროის მტკიცე მოთხოვნაა. **(ტაში).** და მისი უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად ხდება პოლიტიკური ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით შევძლებთ. დროა, სახელმწიფოთა ურთიერთობა დავამყაროთ გაცილებით უფრო მკვიდრ საძირკველზე, ვიდრე იარაღია. ალტერნატივას ჩვენ ვერ ვხედავთ და არც დავეძებთ. **(ტაში).**

მაგრამ, სამწუხაროდ, საერთაშორისო გაერთიანებაში ჯერ კიდევ იჩემებენ რალაც საგანგებო, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის მომარჯვებული უშიშროების პრეტენდენტობას. ამას მოწმობს გუნება-განწყობილება, ვაშინგტონში რომ სუფევს. იქ კვლავინდებურად პირზე აკერიით მოწოდებანი, გამოიყენონ ძალა, რომელსაც უწინდებურად მიიჩნევდნენ ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად მსოფლიო პოლიტიკაში. ეტყობა, ზოგ-ზოგები უბრალოდ უფრთხიან საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, საერთოდ საერთაშორისო ვითარების სერიოზული, ხანგრძლივი გამოდარების შესაძლებლობას, ახლა რომ გამოჩნდა.

ასეთ სიტუაციას პირველად კი არ ვაწყდებით. მილიტარისტულ, აგრესიულ ძალებს, რა თქმა უნდა, ახლაც ერჩივნათ გაეყინათ და გაემარადისებინათ კონფრონტაცია. ჩვენ რალა ვქნათ, ამხანაგებო? კარი გამოვიჯახხოთ? არ არის გამორიცხული, რომ სწორედ სამისოდ გვაქვებენ. მაგრამ ჩვენ ძალზე კარგად გვესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ქვეყნის ბედის, მთელი მსოფლიოს სვე-ბედისათვის. სწორედ ამიტომ არ ვა-



საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის უსახურო შეხვედრის შედეგები

1986 წლის 8 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ არჩეული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად.

პლენუმმა აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურო შემდეგი შემადგენლობით:

პოლიტიბიუროს წევრები ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, პ. ა. ბლიზნი, ბ. ბ. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ლ. ბ. კუნაევი, ი. კ. ლიბაჩოვი, ნ. ი. რიშკოვი, მ. ს. სოლომენცოვი, მ. ბ. შიშკინი, ვ. ვ. შჩერბინი, ვ. მ. ჩიხრიაკოვი.

პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატები ამხანაგები პ. ნ. ღმირიანი, ვ. ი. დოლგინი, ბ. ნ. ელსინი, ნ. ნ. სლიუნიკოვი, ს. ლ. სოკოლოვი, ი. ფ. სოლოვიოვი, ნ. ვ. ტალიზინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი — გენერალური მდივანი, ბ. პ. ბირიუკოვა, ბ. თ. დობრინინი, ვ. ი. დოლგინი, ლ. ნ. ზაიკოვი, მ. ვ. ზიმიანი, ბ. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიბაჩოვი, ვ. ბ. მიშკინი, ვ. პ. ნიკონოვი, ბ. პ. რაზუხოვსკი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხანაგი მ. ს. სოლომენცოვი.

პირებთან მივცეთ იმათ, ვისაც მოუწადინებია, ძალით შეაგუოს კაცობრიობა ბირთვულ საფრთხეს, გამაღებულ შეიარაღებას. (ტაში).

საბჭოთა საგარეო პოლიტიკას გეზად აქვს აღებული ექიოს ურთიერთგაგება, გამართოს დიალოგი, დაამკვიდროს მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც სახელმწიფოთა ურთიერთობის უნივერსალური ნორმა. ჩვენ გვაქვს იმის ნათელი წარმოდგენა, როგორ მივალწიოთ ამას, და მშვიდობის შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის მუშაობის კონკრეტული პროგრამაც. (ტაში).

საბჭოთა კავშირი მსოფლიო ასპარეზზე მოქმედებდა და იმოქმედებს სერიოზულად და აშკარად, აქტიურად და პატიოსნად, ჩვენ ვაპირებთ გულმოდგინედ, ინიციატივით ვეცადოთ ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის, გამაღებულ შეიარაღების რადიკალური შეზღუდვის, საიმედო, ყველა სახელმწიფოსათვის თანაბარი საერთაშორისო უშიშროების მიღწევას. მშვიდობის შენარჩუნების, გამაღებული შეიარაღების ალაგმვის განაწესი ძლიერად და მგზნებარედ გაისმა ჩვენი ყრილობის დელეგატების გამოსვლებში. პარტია განუხრელად შეასრულებს ამ განაწესს. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ სხვაგვარი სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს მოვუწოდებთ პასუხისმგებლობით მოეკიდონ მსოფლიო პოლიტიკის სადღეისოდ საკვანძო პრობლემას, ომისა და მშვიდობის პრობლემას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ჩვენს ხალხს მისცეს შესაძლებლობა, იზრომოს მტკიცე მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენს პარტიას, საბჭოეთს, როგორც კიდევ ერთხელ დაადასტურა ყრილობამ, საზღვარგარეთ ბევრი მოკავშირე მომხრე, პარტნიორი ჰყავს მშვიდობის, თავისუფლების, კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში.

ჩვენ გულწრფელად მოხარული ვართ, ვხედავდეთ აქ სოციალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს. ნება მიბოძეთ, ყრილობის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ამ ქვეყნების კომუნისტურ პარტიებსა და ხალხებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან სოლიდარობისათვის! (ხანგრძლივი ტაში).

სოციალისტურ სახელმწიფოთა მთელი რიგი მოძმე პარტიებისათვის მიმდინარე წელი აგრეთვე ყრილობათა წელია. ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს პრობლემები და ამოცანები, რომლებსაც მმართველ კომუნისტურ პარტიებს უსახავს თვით ისტორიის განვითარება. და მათზე პასუხის გაცემით ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო სოციალიზმის ერთობლივი გამოცდილების საერთო საგანძურში. წარმატებას ვისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო! (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მადლიერია იმ თბილი სიტყვებისათ-

ვის, რომლებიც მისი მისამართით წარმოთქვეს კომუნისტური, რევოლუციური-დემოკრატიული, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების, დემოკრატიული, განმათავისუფლებელი, ომისმოწინააღმდეგო ძალებისა და მოძრაობების წარმომადგენლებმა. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ისინი გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ ყრილობის მიერ წამოყენებულ საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის იდეას, მიმდინარე საუკუნის დამლევაძლე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის გეგმას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ ეს იდეები და გეგმები შეესაბამება ყველა ხალხის, ყველა ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ნამდვილ ინტერესებს. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! ჩვენმა ყრილობამ ცხადყო, რომ საზოგადოებრივი განვითარების ახლანდელ, გარდამტეხ ეტაპზე ლენინური პარტია ისტორიულ ამოცანათა სიმადლეზეა. (ტაში). ამ ტრიბუნიდან ჩვენი პარტიის წარმომადგენელი ყველა დელეგატის სახელით მინდა ვთქვა: ჩვენ, კომუნისტები, დიდად ვაფასებთ მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის ნდობას. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენთვის ყველაზე მაღლა დგას ხალხის, სამშობლოს, სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესები. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ხორცი შევასხათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)



ამხანაგო დელეგატებო! ყრილობა, ლენინის თქმით, პარტიის ნების გამოხატულებაა. XXVII ყრილობა, რომელიც სკკპ პროგრამასა და წესდებს განიხილავს, საყოველთაო-სახალხო ნების გამოვლინებაა: მას წინ უძღოდა ხალხთან პარტიის მოთათბირების ეტაპი, ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დიდი და უშუალო ბჭობის ეტაპი. ამ ყრილობას დიდი ხანია მოელოდნენ. ამ ყრილობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ახლა ეს იმედები მართლდება.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება XXVII ყრილობისადმი — ეს არის უდიდესი აღმაშენებელი ენერჯის მუხტი, თამამი, ნოვატორული, კონსტრუქციული მიდგომა თანამედროვეობის პრობლემებისადმი, ბოლშევიკური სულისკვეთება, გულახდილობა და პრინციპულობა, ინერტულობისა და კონსერვატიზმის დაძლევა — ნათელი მაჩვენებელი იმისა, თუ რას ნიშნავს დღეს რევოლუციურობა. როდესაც გულახდილად ლაპარაკობს სიძნელებებზე, სააშკარაოზე გამოაქვს შეცდომები და ნაკლოვანებანი და ღრმად აანალიზებს მათ, პარტია გვანახისებს კიდევ უფრო გაბედულად, შეუპოვრად ვიმოქმედოთ. ეს გვისახავს რწმენას, სიმტკიცეს და ოპტიმიზმს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების შემდეგ ჩვენს ცხოვრებას თითქოს მაცოცხლებელი ნაკადი შემოემატაო. ჩვენმა პარტიამ ლენინური სიმწვავეთ და პრინციპულად გამოაცხადა განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი, მისი გარდამტეხი ხასიათი. კარგად გვესმის, რაოდენ დიდი ძალისხმევა, რა ტიტანური გარჯა გვმართებს იმისათვის, რომ დავამკვიდროთ გარდატეხა ცხოვრებაში, შრომისა და კადრების აზროვნებაში.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლას საქართველოს კომუნისტები შეუდგნენ ჯერ კიდევ 1972 წელს, როდესაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ჩვენ ვხედავთ, რაოდენ ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს დისციპლინის განმტკიცება, მომთხოვნელობის და პასუხისმგებლობის გაძლიერება და ის, რომ ამ წლების განმავლობაში რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალი ერთიორად და მეტად გაიზარდა, დაჩქარებული ტემპით მცირდება ჩამორჩენა საშუალო საკავშირო ღონისთან შედარებით. მოგახსენებთ: შე-



სრულებულია მეტერთმეტე ხუთწლედის დავალებანი სამრეწველო წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით; პროდუქციის გამოშვება 30 პროცენტით და მეტად გაიზარდა. რესპუბლიკამ გაართვა თავი სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვას.

საჭირო გახდა პარტიული ხელმძღვანელობის ახალი ფორმები და მეთოდები. ეფექტიანი გამოდგა ძალისხმევის კონცენტრაცია საკვანძო პრობლემების გადასაჭრელად, ორმხრივი ღონისძიებანი საკავშირო სამინისტროებთან ერთად, სხვა ვქსპერიმენტები და სიახლენი, რომლებსაც მხარი დაუჭირა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. 1974 წელს დაწყებულმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის აბაშურმა გამოცდილებამ ჩვენ მიგვიყვანა სამი უწყების გამაერთიანებელ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტამდე, და მთელი ეს სისტემა კარგად მოერგო ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის გაუმჯობესებულ სტრუქტურას.


ახალი ეკონომიკური ბერკეტები თვისებრივად ცვლიან შრომისადმი დამოკიდებულებას, კიდევ უფრო მეტად ავლენენ მეურნეობრიობის პოლიტიკურ საზრისს. ახლა უკეთ გამოჩნდა ნაკლოვანებანი, გადასაჭრელი პრობლემები. მაგრამ მიღწეულს როდი ვსჯერდებით. კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის სტრუქტურა, საფინანსო-ეკონომიკური მუშაობა, ფულის მიმოქცევის მდგომარეობა. მწვავედ დგას საბინაო და სხვა სოციალური პრობლემები, გვაფერხებს დაგეგმვის

ხარვეზები, მეტადრე, არაკომპეტენტურობის, უთაურობის და უპასუხისმგებლობის ელემენტები. ბევრ დარგში დიდია დანაკარგები, დიდია თვითღირებულება, განსაკუთრებით — მეცხოველეობის პროდუქტებისა. ხშირად ვერ სრულდება სახელმეურნეო ვალდებულებანი. შარშან მრეწველობამ თავი ვერ გაართვა რეალიზაციის გეგმას. კვლავინდებურად მდარეა მშენებლობის ხარისხი. სწორედ ამიტომ წესრიგის დამყარება, წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდა ხანგრძლივ ამოცანად გვესახება.

იყო ობიექტური — ნიშნავს არჩევდევსა და კარგს. ჩვენი წყობილების პირობებში ორგანიზაციული ღონისძიებანი წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესებს. მაგრამ ხშირად ასე არ ხდება ხოლმე. იწყებ გარკვევას და რწმუნდები, რომ, თურმე, ყოველივე სუბიექტივიზმის, გულგრილობის, მოღუნების, ზოგჯერ კი აშკარა წინააღმდეგობისაგან მომდინარეობს. მაგალითად, ყველამ მოიწონა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოების დებულებანი, მაგრამ პრაქტიკული გადაჭრა ჭიანურდება, და კვლავ ვხედავთ, რომ ხშირად მიზანს ვერ აღწევს ისეთი ბერკეტების გამოყენება, როგორც არის ფასი, კრედიტი, მოგება, ხელფასი და სხვა.

განუზომლად მოიკიდა ფეხი უწყებრიობამ, რომელსაც ხშირად მოსდევს ამბიციურობა, თვითნებური გადაწყვეტები. ეს მარტოდენ ზნეობრივ ზიანს როდი გვაყენებს. ყოვნიდმა მიწის, მინერალური რესურსების, სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური გამოყენების პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ძალზე აქტუალურია რესპუბლიკისათვის. საერთო-სახელმწიფო საკუთრებისათვის, რა თქმა უნდა, ყველანი ვაგებთ პასუხს. მაგრამ აუცილებელია პერსონალური პასუხისმგებლობაც და შესაძლოა, — მართვის გარდაქმნაც. დაძვდილით ბარიერები — უწყებრივი, ფინანსური, ფსიქოლოგიური ზღუდეები — ეს ნიშნავს, მივანიჭოთ უსწრაფესი აჩქარება მეცნიერებას, ტექნიკას, წარმოებას, თვისებრივად შევცვალოთ ცხოვრების წესი.

საჭირო გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უპირველესი პარტიული საზრუნავი გამხდარიყო. რესპუბლიკაში გარკვეული სისტემა დამკვიდრდა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანოები. ინერგება მეცნიერთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების გაბედული ფორმები, ფართოდება საწარმოებთან პარტნიორობა, აკა-



დემიისა და უმალესი სასწავლებლების პოტენციის გამოყენება, შემუშავებულია წარმოების ვიწრო ადგილების დაძლევის საერთო-რესპუბლიკური პროგრამა. და მინც, ბევრი საკითხის გადაწყვეტა ეწირება ბიუროკრატიზმს, უთავბოლოებას, არ იგრძნობა ჯეროვანი დაინტერესება და ზუსტი დაგეგმვა.

უწყებრიობისა და კუთხურობის დაძლევის უებარი საშუალებაა ტერიტორიული და დარგობრივი მართვის შეხამება. ადგილობრივი საბჭოების, შრომითი კოლექტივების ავტორიტეტის ზრდამ, რესპუბლიკაში დარგთშორისი გაერთიანებების შექმნამ, სამეურნეო ანგარიშის საწყისების გაძლიერებამ გასაქანი მისცა ადგილობრივი ინიციატივას, რომლის საფუძველია სახელმწიფოებრივი მიდგომა. მაგრამ არის მასშტაბური პრობლემებიც, რომლებიც ცენტრის მასშტაბურ გადაწყვეტებს მოითხოვს. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ენერგეტიკის განვითარების, კავკასიონის საუდელტეხილო რკინიგზის აშენების, თბილისის შემდგომი განვითარების თაობაზე მიღებულ დადგენილებებს, რომლებიც ახალ ეტაპს მოასწავებენ საქართველოს პარტორგანიზაციის ცხოვრებასა და მუშაობაში.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასთან ერთად იზრდება ხელმძღვანელი კომუნისტის როლი და მნიშვნელობა. მისი პიროვნული თვისებები — დინამიზმი და მობილურობა, კომპეტენტურობა და კოლეგურობა, თვითკრიტიკულობა, დემოკრატიზმი და უშუალოება, მასებთან კავშირი ყველაზე სრულად ვლინდება სოციალიზმის პირობებში და საუცხოო აღმზრდელით მათგან მათგან გვევლინება.

ყველა დონეზე და ყველა რგოლში პარტიელის უმწიკვლო და სპეტაკი სახე ყალიბდება მხოლოდ მომთხოვნელობისა და ფართო საჯაროობის, მკაცრი კონტროლისა და თვითკონტროლის ატმოსფეროში. ხშირად, სწორედ მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია, რომ თავს გადიან და უღირსად იქცევიან ხელმძღვანელის მეგობრები, ახლობლები, ნათესაებები, ოჯახის წევრები, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ყველაფერი ეპატიებათ და პასუხი არ მოეკითხებათ. ეს კი მარტოდენ ხელმძღვანელს როდი უტეხავს სახელს.

მთელი ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს პარტორგანიზაცია პრინციპულად ებრძოდა იმათ, ვინც ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას და თავისი საქციელით, მოქმედებით ჩირქს სცხებს კომუნისტის წოდებას. ეს რთული ბრძოლა იყო. ნუ დავმაღავთ, და არცთუ ისე შორეულ წარსულში ფეხმოკიდებულმა წაყრუების ვითარებამ ააყვავა დიდკაცური მფარველობა და არა მარტო ზომაერი მეურვეობა, რომლებიც შორს იდებდა სათავეს და ასევე შორს მოისროდა ხოლმე ზოგ-ზოგებს — ნომენკლატურული სა-

ვარძლიდან განსასჯელის სკამზე. მკაცრ პარტიულ, მთელ რიგ შემთხვევებში კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ზოგიერთი მაღალი რანგის ხელმძღვანელი.

ზნეობაზე არ უნდა ვალაპარაკოთ უზნეო პიროვნებანი. მხოლოდ წესიერად ამიანებს აქვთ უფლება დაამყარონ წესრიგი. წესი და წესიერება ერთი ძირის სიტყვებია. საქართველოს კომუნისტებმა მოწონებით აღიქვეს ის, რომ წესიერების მოთხოვნა საწესდებო ხდება.

შარშან, როდესაც განახლების განაღებული დადგა, რესპუბლიკის კომუნისტებმა უფრო მტკიცედ იწყეს მოქმედება, გააძლიერეს მომთხოვნელობა პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ეთიკის ნორმების ყოველგვარი გადახვევისათვის. და თუმცა, როგორც რესპუბლიკის პარტორგანიზაციამ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს მოახსენა, ახალდაწინაურებულთაგან, ახალარჩეულთაგან ბევრნი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოღალატენი გამოდგნენ. და თავი იჩინა უკვე ჩვენმავე საკუთარმა შეცდომებმა, ამის შესახებ დაუფარავად და გულახდილად ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობთ, და რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, არ ვმაღავთ მას, ბოლომდე ვამბობთ სათქმელს.

რესპუბლიკის პარტორგანიზაცია თანამიმდევრულად მისდევს მეგვიდრეობითობის პრინციპს და აქტიურად ავითარებს თვითგანწყმენისა და გამოჯანმრთელების პროცესს: ახლა კომუნისტები ანგარიშს აბარებენ პირველადს პარტორგანიზაციებს, პარტიულ ამხანაგებს, გადიან ერთგვარ პარტიულ ატესტაციას.

უაღრესად უკომპრომისოდ ვებრძვით კარიერისტებსა და მექრთამეებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მიეტმასნონ, აეტკიბონ პარტიას. ვ. ი. ლენინი ქრთამს უწოდებდა ერთ-ერთ უმთავრეს მტერს, რომელიც, მისივე თქმით, დგას ახლა ადამიანის წინაშე, მეტადრე, „თუ ეს ადამიანი კომუნისტია“, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იქ, სადაც ქრთამია, „ლაპარაკიც ზედმეტია პოლიტიკაზე“.

აბა, რა პოლიტიკა მოეკითხება პარტიული კომიტეტის მდივანს ან მინისტრს, ნებისმიერ ხელმძღვანელ მუშაკს, თუ ფულის წაგლეჯა-გამოძალავაზე უჭირავს თვალი, დაუპარავას ღირსებისა და პარტიული სინდისის ელემენტარული გრძობა? კომუნისტური მორალის გადახრებთან ბრძოლა სულ უფრო მეტად უნდა ძლიერდებოდეს და მძაფრდებოდეს. და აქ, როგორც ყოველთვის, არ გვასვენებს მიღწეულით დაუქმყოფილებლობის გრძობა.

მიმდინარეობს პროცესი საყოველთაო გამოფხიზლებისა — ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ფხიზელი ცხოვრების წესი — ეს მარტოდენ ადამიანის ჯანმრთელობა კი არა, საზოგადოებაში, ოჯახში ჯანსაღი ურთიერთობის თავიდათავიც არის. ალკოჰოლიზმს უაღ-

კოპოლო სასმელებით ვებრძვით, თანდათან ვაფართოებთ მათს წარმოებას. გრადუსმაც თითქოს იკლო, ადამიანთა ურთიერთობა და სტუმართმოყვარეობა ცილებით უფრო თბილი გახდა. შემთხვევაში, ყველა ამას ამბობს, სტუმარიც და მასპინძელიც. (ტაში).

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს იმათი პასუხისგებინება, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. სწორედ ამ მასაზრდოებელ გარემოში იბარტყა დანაშაულობამ და ისეთმა სოციალურად საშიშმა სენმა, როგორიც არის ნარკომანია. ჩვენ დავრწმუნდით, უშრომელი შემოსავალი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია საფრთხეს უქადის ახალგაზრდობას, აწყულულებს საზოგადოებას, მეტადრე მაშინ, როდესაც შემტევი სულისკვეთება ცხრება და თავს იჩენს პასიურობა, უმოქმედობა, არხეინობა.

დისციპლინის განმტკიცება, კადრების პოლიტიკის სრულყოფა საფუძველია მაღალი ხარისხის მიღწევისა ყველაგან და ყველაფერში, პროდუქციისა და შრომის ხარისხით დაწყებული და, ყველაზე ფართო გაგებით, ცხოვრების ხარისხით დამთავრებული. ეს კი დედაბოძია ჩვენი პარტორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა.

ჩვენ ყოველნაირად ვუჭერთ მხარს ცენტრალური კომიტეტის კურსს, თავისებურ ზნეობრივ რევოლუციას, რომელიც სულ უფრო მეტად ძლიერდება პარტიასა და ქვეყანაში. მხოლოდ ბრძოლა! ყველაზე უკომპრომისო ბრძოლა! ასეთია დღეს ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა, და ასეთი განწყობილებით მოვიდნენ რესპუბლიკის კომუნისტები XXVII ყრილობაზე. (ტაში).

ამხანაგებო! 25 თებერვალი ისტორიაში შევა, როგორც სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღე. საქართველოსთვის ეს დღე ისტორიული გახდა 65 წლის წინ, როდესაც სერგო ორჯონიკიძემ, რომლის დაბადების 100 წლისთავიც წელს აღინიშნება, მოსკოვს, კრემლს უდებოდა: თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს.

დღეს საბჭოთა საქართველო, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, საუკეთესო დასურათხატებაა იმისა, რომ წარსულისაგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაწყდა, როგორც ეს ნათქვამია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში.

ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში, რომელზეც სწერდა ლენინი კავკასიის კომუნისტებს, დღეს ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიად და პრაქტიკად იქცა. ინტერნაციონალიზმის იდეებმა მატერიალური ძალა და მტკიცე ეკონომიკური ბაზა შეიძინა. ისინი სულ უფრო საგრძნობლად მსჭვალავენ რესპუბლიკის სულიერსა და

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან
**ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიბერალური-
სამხატვრო ჟურნალი**

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ამხანაზ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა
პრილოვის დახურვისას.

ამხანაზ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა.

ლამარა თელია — „ჰეპატის ბაღის“
მისანიღუმლე.

ვალერი ასათიანი — ჩვენი საზ-
რუნავი.

მურმან ზუნდაძე — მუშათა კლასის
ღირსეული წარმომადგენელი.

სერგო ზონია — სოფლის ტალკ-
ვისი.

ალდე კაკაბაძე — ორიგინალური
ხელწერის მხატვარი.

შესანიშნავი მამულიშვილები.

თებრო ნადირაშვილი — ფორე,
ჩვენი ფორე!

ჩვენი კოეტი ქალები.

თენგიზ გოგოლაძე — ქვაც ქვა
არი... (მოთხრობა).

ბარუნ აკოფოვი — მოღით, გავის-
სენოთ!

საბულისხმო, სახლისო.
კროსკორდი.

საპარტველოს კვ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1986 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ს უ ტ ა ბ ე რ უ ლ ა ვ ა

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე ბ ი ა:

ბულნარა ბახტაძე (პ/შგ. მდივანი), ოთარ
ბერიშვილი, ვასილ გვიტაძე, ნათელა
გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რე-
დაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი,
სერგო ღურშიძე, ვახტანგ მსხვერჯია, დინარა
ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბა-
რიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე,
გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

ინტელექტუალურ პოტენციალს, სადაც
ერთ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ
ქართველები, აფხაზები, ოსები, რუსები,
სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები,
ებრაელები, ქურთები, 80-ზე მეტი ერისა
და ეროვნების წარმომადგენლები. სკო-
ლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ექვს
ენაზე ასწავლიან, შვიდ ენაზე გამოდის
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ეწყობა
ტელე და რადიოგადაცემები. ახლახან გა-
იხსნა აფხაზეთის უნივერსიტეტი.

ჩვენი უნიკალური მრავალეროვანი სა-
ხელმწიფოს პირობებში ეროვნებათშო-
რისი ურთიერთობა ნიადაგ ვითარდება და
იხვეწება. ერების შემდგომი აყვავებისა და
დაახლოების ინტერესები გვავალებს, ჯე-
როვან სიფხიზლეს ვიჩენდეთ ეროვნული
შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის,
ნაციონალიზმის, შოვინიზმის ყოველგვარი
გამოვლინების მიმართ, მივცეთ მათ, რო-
გორც მოხსენებაშია ხაზგასმული, სათანა-
დო პოლიტიკური შეფასება.

ინტერნაციონალიზმი, მეგობრობა და
ძმობა, სულიერი ურთიერთგამდობრივი-
სადმი მისწრაფება საბჭოთა ხალხების ში-
ნაგანი მოთხოვნილებაა. და ეს განსაკუთ-
რებული ძალით შევიგრძენით გეორგიევს-
კის ხელშეკრულების, საქართველოსა და
რუსეთის დამშობილების 200 წლისთავის
ზეიმის დღეებში. ეს იყო დაუვიწყარი
დღეები, რომლებიც მარად გავგვყვება და
მარად დაგვრჩება ხსოვნასა და გულში.
ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ილია
ჭავჭავაძე ამბობდა: დიდ რუს ხალხთან მე-
გობრობა და ძმობა ისეთი ფასდაუდებელი

მონაპოვარია, რომელსაც არ შეიძლება არ
ვუფრთხილდებოდეთ მთელი ჩვენი არსე-
ბით, მთელი სულითა და გულით, ეს სიტ-
ყვებო 100 წლის წინ ითქვა. და დღეს გვმა-
რთებს კიდევ უფრო მეტად განვამტკი-
ცოთ ეს ძმობა და მეგობრობა, მოვუაროთ
და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას.
(ტაში).

საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალი-
სტური ინტერნაციონალიზმის მძლეთამძლე
იდეები — ეს არის ქვეყნად მშვიდობის
მთავარი დასაყრდენი, ყველაზე მძლავრი
ფარი, რომელიც ასევე უფრო საიმედოა,
ვიდრე რეიგანის ადმინისტრაციის ყბადა-
ლებული „სტრატეგიული თავდაცვითი
ინიციატივა“. დაე მშვიდობის წელიწადი,
რომელშიც პარტიის XXVII ყრილობა შე-
იკრიბა, მშვიდობისა და აღმშენებლობის
მთელი ეპოქის დასაბამი გამხდარიყოს!
(ტაში).

ჩვენმა სოციალისტურმა საზოგადოებამ
პირველად უნდა გადააბიჯოს ორი საუ-
კუნის ზღურბლს. შედგას ფეხი მესამე
ათასწლეულში, აზიაროს მომავალი ჰუ-
მანიზმის, სიმართლის, მშვიდობისა და სი-
კეთის ნათელ იდეალებს. ჩვენ, კომუნის-
ტებს, შეგვიძლია არა მარტო ვიოცნებოთ,
არამედ ხორციც შევასხათ ჩვენს ოცნებას,
რადგან საერთო მიზნითა და ერთიანი ნე-
ბით შეკავშირებულ იდეურ თანამოსაქ-
მეებს ყველაზე მასშტაბური გარდაქმნები
ხელეწიფებათ. ასეთია ჩვენი კომუნისტუ-
რი პარტია, რომელსაც უკვდავი ლენინური
იდეების დიადი ძალა ადუღაბებს. (ტაში).

**მოსკოვი. სპკვ XXVII ყრილობა. კრემლის ყრილობა-
თა სასახლე. სურათზე: სხდომის დარბაზში დელეგატთა ერთი
ჯგუფი საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცი-
ისაგან.**





„პეკანის ხალის“ მედიკალი

„მე ვარო ამის წამალი“, სხვა გაიძახის „იმისა“, მიწი- აც მოწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა... თურ- მე ზნედა სჭირთ ყვავილთა, ოღონდ ეწამლონ სნეულთა, სი- ცოცხლით ვაფუფუნებულს არ- ად აგდებენ სნეულთა; სალხი- ნად ჰსახვენ, კაცთ სარგოს, ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულ- თა“...

დედამიწაზე სიცოცხლის გა- ჩენის პირველი დღიდანვე ამ სიტყვებით ეგებებოდნენ ალ- ბათ მცენარეები მათ შესაგრო- ვებლად ბუნებაში გასულ ადა- მინს.

მცენარის ცნობა და მისი სამკურნალოდ გამოყენებ- ის ტრადიცია ქართველებს ოდი- თანვე მოსდევს. ჩვენი ხალხუ- რი მედიცინა ამ ტრადიციასავე აგებული. იგი განუყოფელი ნაწილია უძველესი ქართული კულტურისა და ისევე მრავალ- საუკუნოვანია, როგორც საქარ- თველოს ისტორია. ამაზე მე- ტყველებენ წერილობითი ძეგ- ლები, ისტორიული ცნობები, მდიდარი ფოლკლორული მასა- ლა, ლეგენდები.

ჯერ კიდევ აღრე, როცა კა- ცობრიობამ არაფერი იცოდა შაქრების, ცხიმების, ცილებისა და ვიტამინების შესახებ, ადა- მინი ემპირიულად იყენებდა ამ ნივთიერებებით მდიდარ სა- კვებს. ეს იყო ნედლი ხილი, კურკოვნები, კენკრა, მწვანი- ლი, სოკო — ძირითადად ტყი- სა თუ საერთოდ ბუნების ნო- ბათი. შემდეგ დაიწყო სხვადა- სხვა მეთოდით გადაამუშავებუ- ლი მარცვლეულის, სახამებლის შემცველი ნაყოფ-ბოლქვების, ფესვების, ზეთოვანი თესლე- ბის მოხმარება.

ასეთი პირველი მომპოვებე- ლი ქალი იყო და ამიტომ მან- ვე დაიწყო პირველად საკვე- ბისა და წამლის დამზადებაც. უძველეს ქართულ ეპოსში „თამარისაში“ ვკითხულობთ,

რომ ყამარმა იცოდა ბალახე- ბის გამოყენება მკვდრის გა- საცოცხლებლად თუ ძილის მოსაგვრელად;

კოლხი დედოფალი ჰეკატე და მისი ქალიშვილები ცირცეა და მედეა მცენარეთა ჯაღოს- ნური თვისებების მცოდნენი და განსწავლული მკურნალები იყ- ვნენ;

წყალულებს უკურნავდა და სნეულთ შველოდა დედოფალი შუშანიკო.

ოდითგანვე ასე იყო: საქარ- თველოში ვერ ნახავდით ოჯ- ახს, სადაც ქალს, წიგნისა და ხელოსაქმის გარდა, ბალახთა ცნობა, წამლის დამზადება და მკურნალობაც არ სცოდნოდა. ამიტომაც დღეს არავის უკვირს დედამიწის ერთიან, ჰარმონი- ულ სამყაროში ქალისა და მცე- ნარის სრულყოფილი, მეცნი- ერული ურთიერთკავშირი.

ახლა მოვითხრობთ ქალზე, რომლის ვარშემო ყველაფერი ასევე ჰარმონიული და მშვენი- ერია:

სახელი — ლინა, გვარი — ერისთავი, მოწოდება — წა- მალთმცოდნეობა, წოდება — პროფესორი, თანამდებობა — თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელ- მწიფო სამედიცინო ინსტიტუ- ტის ფარმაკოგნოზის კათედ- რის გამგე.

შრომითი საქმიანობა ლინა ერისთავმა 1948 წელს დაიწყო. ინსტიტუტის დამთავრების შე- მდეგ, როგორც სტალინური სტიპენდიანტი, დატოვეს ფარ- მაკოგნოზის კათედრაზე. აქ გაიარა მან გზა ასისტენტიდან კათედრის გამგის თანამდებო- ბამდე;

ვაღეროვან შოთაძესთან ერთ- თად აქ შექმნა მან ქართულ ენაზე პირველი „ფარმაკოგნო- ზის პრაქტიკუმი“. სამედიცი- ნო ინსტიტუტის ფარმაცევტი- ული ფაკულტეტის სტუდენტ- ტებისათვის გამიზნული ეს სა-

ხელმძღვანელო სამაგიდო წიგ- ნად გადაიქცა ფარმაციის პრა- კტიკული მუშაკებისთვისაც.

როცა ამ წიგნს და სხვა გა- მოკვეყნებულ ნაშრომებს ათ- ვალიერებ ან უსმენ მეცნიერი ქალის საჯარო გამოხვლას, ლე- ქციასა თუ პირად საუბარს, მოხიბლული რჩები არამარტო მისი ქალური სათნოებით, სა- საუბრო თემის ღრმა წვდომი- თა და ერუდიციით, არამედ იმ დახვეწილი, მაღალი ქართუ- ლით, რომლითაც იგი რაღაც პოეტური, ზეაწეული სიამა- ყით მეტყველებს ან წერს. ჩემი გულწრფელი კომპლიმენტი არ გაჰკვირვებია. უბრალოდ მიპა- სუხა: თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლა დავამთავრე და ქართულს ფოცია კალანდა- ძე მასწავლიდა.

როგორც კი ქართული ლი- ტერატურის მასწავლებლის სა- ხელი ახსენა, იმ წუთში ყვე- ლაფერი შეიცვალა ირგვლივ- ლინა ერისთავის სამუშაო ოთახი გაივსო ნიკოლოზ ბარა- თაშვილისა და გალაკტიონის ლექსის ღვთიური სიტყვით, შუშანიკა და ჩაიკოვსკის მუსი- კის ჯადოსნური ჰანგებით.

ამაო აღმოჩნდა ყველა ცდა. რაიმე მეთქმევიანებინა მისთვის პირადი მეცნიერული წარმატე- ბების ან კათედრის კოლექტი- ვის მიღწევათა შესახებ: — ვე- ძიებთ, ვიკვლევთ ბუნების დიდ „არქიტექტორებს“ — მცენა- რეებს, მათი ნიჭიერების მრავალწახნაგოვნება ხომ განუზო- მელია. ადამიანის ამოცანაა, გა- ერკვეს, შეისწავლოს და სწო- რად წარმართოს მათში მიმდი- ნარე ფაქიზი და გონიერი პრო- ცესები. წარმოიდგინეთ, თვით ყველაზე ბანალური ბალახიც კი, რომელსაც ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ და ფეხით ვთელავთ, ვაცილებთ უფრო მგრძობიარეა სინათლისადმი, ვიდრე ადა- მინის თვალი; მას ვაცილებთ უფრო ზუსტად, ვიდრე ჩვენს

მიერ შექმნილ ყველაზე სრულ- ყოფილ ხელსაწყოებს, შეუძ- ლია ტენიანობის გაზომვა; მი- სი ფესვი რეაგირებს ასამდე ნაირგვარ ფაქტორზე, რომელ- თაგან იგი ამოირჩევს სიცოცხ- ლისათვის აუცილებელ ყველა- ზე იდეალურ პროგრამას. მცე- ნარეთა შესაძლებლობანი იმ- დენად დიდია, რომ მსოფლიო მეცნიერებს ალბათ კიდევ მრავალი საუკუნე არ ეყოფათ მათი სრული ამოცნობისათვის. მხოლოდ ერთი რამ არ იწვევს ეჭვს: მცენარეები მოწოდებუ- ლნი არიან დედამიწაზე სიცო- ცხლის შესანარჩუნებლად და ადამიანის სასიკეთოდ, მისი სულიერი და ფიზიკური ტკივი- ლის სალბუნად და დამაამებ- ლად. ჩვენი კათედრა ამ ტკივი- ლების „მალამოს“ ეძებს. იზ- რუნო ადამიანის ჯანმრთელო- ბისათვის, უფრო მეტიც, გაუ- ხანგრძლივო მას სიცოცხლე, ეს არც ისე უმნიშვნელო მი- სიაა!

უკვე 35 წელიწადია, ლინა ერისთავი სამეცნიერო-პედა- გოგიურ მოღვაწეობას ეწევა. უმაღლესი სკოლის დამსახურე- ბული მუშაკი 90-ზე მეტი სა- მეცნიერო შრომის, მონოგრა- ფიების, სახელმძღვანელოა და გამოგონებათა ავტორია. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ფლორის ბევრი იმ მცენარის გამოვლინება და შესწავლა, რომლებიც ბიოლო- გიურად აქტიურ ქიმიურ ნივ- თიერებებს შეიცავენ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის სამეცნიერო მო- ღვაწეობაში მცენარეებში სტე- როიდული შენაერთების კვლე- ვას. ლინა ერისთავმა ფარმა- კოგნოზის კათედრაზე შეს- წავლილი შრომანასებრთა რი- გის საქართველოში მზარდი 200-მდე მცენარის თანამიმდევ- რული, გამიზნული გამოკვლე- ვით დაადგინა, რომ ისინი მდი- დარი არიან სტეროიდული სა-

პონინებით. ფარმაკოგნოზის კათედრაზე გამოყოფილი საპონინების ჯამური და ინდივიდუალური გლუკოზიდებისაგან რამდენიმეს მაღალი ანტიმიკრობული და ანტივირუსული აქტივობა გამოაჩინდა, ხოლო ორ შენაერთს — კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება.

სტეროიდების კლასის შენაერთების კვლევიდან არანაკლებ მნიშვნელოვანია ლინა ერისთავის თანაავტორობით საგულე გლუკოზიდებით მდიდარი მცენარეების ანალიზი და ახალი კარდიოტონული მოქმედების პრეპარატის „როდენილის“ შექმნა. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტში უკვე დამთავრდა ამ ძვირფასი პრეპარატის გამოკვლევა.

მედიცინა საერთაშორისო მეცნიერებაა, ალკალოიდების ქიმიის მონაპოვარი კი ამ მეცნიერების ერთ-ერთი ქვაკუთხეულია. ალკალოიდები საუკუნუნაჩევრის წინ აღმოაჩინეს და ამ აღმოჩენას მედიცინისათვის თითქმის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ადამიანის მიერ გაკეთებულ პირველ რკინის იარაღს კაცობრიობის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ლინა ერისთავმა ფარმაკობოტანიკურ ექსპედიციებში ალკალოიდების შემცველობაზე გამოიკვლია 500-ზე მეტი მცენარე და, რაც მთავარია, გამოავლინა კოლხინისა და გალანტამინის ჯგუფის ალკალოიდებით მდიდარი ახალი მცენარეული ნედლეული — სათოვლიას, ენძელას, თოვლქვეშას, ცხენისკბილას სახეობები.

ლინა ერისთავის მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი მონაპოვარია კაკაოს ცხიმის სრულფასოვანი შემცველი სხვა, ახალი ცხიმის გამოყენება მედიცინაში. რბილი წამლის ფორმებისათვის საჭირო დეფიციტური მყარი ცხიმების სამშულო მცენარეული წყაროების ძიებისას მან ყურადღება შეაჩერა დაფნისებრთა ბოტანიკური ოჯახის ორ სახეობაზე — ქაფურისა და ცრუქაფურის ხეებზე.

უმცენაროდ კაცობრიობას არ ძალუძს არსებობა. მარტო იმიტომ კი არა, რომ ისინი კვებავენ ან კურნავენ მას. უბრალოდ იმიტომაც, რომ ადამიანს მშვენიერება ასულდგმულებს. აბა, რა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე მინდვრის ყვავილების, ცადატყორცნილი ხეების, ჭალებსა და ჩანჩქერების გარეშე? ის, ვინც დღემიწაზე ურომობს, ამაზე თითქმის არც კი ფიქრობს. მაგრამ სულ სხვაგვარ ემოციურ „მიმშილს“ განიცდიან ლითონით

გარშემორტყმული კოსმონავტები, ხანგრძლივად რომ არიან მოწყვეტილი შეჩვეულ გარემოს.

— როცა პროგრამით ჩემი ჯერი დგებოდა და კოსმოსურ ხომალდში ბარდის ყლორტებს ვრწყავდი ხოლმე, ისეთი სიხარულის გრძობა მეუფლებოდა, თითქოს ტყეში ვსეირნობდიო, — უთქვამს კოსმონავტ გიორგი გრეჩკოს.

ემოციები ემოციებია, მაგრამ კოსმონავტებს ხომ ჩვენზე მეტად სჭირდებათ ვიტამინებით, ცილებით, ნახშირწყლებით მდიდარი ულუფა, სადილად ხომ უნდათ მწვანე ხანვი, სტაფილო ან წიწმავა?

უკვე რამდენიმე წელია ლინა ერისთავი თანამშრომლობს მოსკოვის ბიოტექნიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და თბილისის უნივერსიტეტის ცილების, ამინომჟავებისა და კვების პროდუქტების ანალიზების ლაბორატორიასთან. მან შეისწავლა ჩაკეტილ ბიოლოგიურ სისტემასა და მასთან მიასლოებულ პირობებში მცენარე-კანდიდატების ზრდა-განვითარება და ბიოსინთეზის პროდუქტები, გამოავლინა საგანგებო პირობებში გაზრდისათვის პერსპექტიული რამდენიმე ბოსტნეული კულტურა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კვების მრეწველობის უწყების დაკვეთით ჩატარებული კომპლექსური კვლევები. ადგილობრივი საკვები და სამკურნალო მცენარეული რესურსების ბაზაზე შექმნილია ოთხი ორიგინალური უალკოჰოლო სასმელი. ფარმაკოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით ისინი უზრუნველყოფენ აშკარად გამოხატულ მატონიზირებელ მოქმედებას, ადამიანებს უმალღებენ ურომისუნარიანობას და უხსნიან დაღლილობას. სასმელებმა „ზურმუხტმა“ და „ლელომ“ საკვშირო სადეგუსტაციო კომისიების უმალღესი შეფასება დაიმსახურა.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ლინა ერისთავის მეცნიერული მოღვაწეობის კიდევ ერთ მიმართულებას. ესაა ქართული ხალხური მედიცინის საგანძურის შესწავლა და მეცნიერული მედიცინის გამდიდრება.

ფარმაკოგნოზის კათედრის დიდი სამეცნიერო ტრადიციების მქონე კოლექტივი პროფესორ ლინა ერისთავის ხელმძღვანელობით ყოველმხრივ ცდილობს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ახალ, ეფექტურ სამკურნალო საშუალებათა შექმნაში. ალბათ ეს იქნება მეცნიერი ქალის მთელი სიცოცხლის გამართლებული მიზანი და მისი ღვაწლის ყველაზე დიდი შეფასება.

ლავარა თელია



ეროვნული
ბიბლიოთეკა


სკკ XXVII ყრილობის დელეგატი, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმიური ბოჭკოს“ მგრეხავი ნინო ბეუოშვილი.

ნინო ბეუოშვილი (მარცხნივ) საამქროში.



ვალერი ასათიანი,

საპარტოვლოს სსრ კულტურის
მინისტრი



მედიკოსი
გიორგი ბერიძე

საკვებით ბუნებრივია, რომ დღეს საქართველოს კულტურის სამინისტროს, მის პარტიულ ორგანიზაციას შემოქმედებით კავშირებთან ერთად უწევს ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთგვარი შექმნა პარტიის ყრილობებს შორის განვლილი ხუთწლედის მანძილზე.

ეს იყო ნიჭიერების უთუოდ აღზევების, რესპუბლიკის მხატვრული ინტელიგენციის უაღრესად დიდი შემოქმედებითი პოტენციალის საგრძნობლად წარმოჩენის, ქართული საბჭოთა კულტურის საერთაშორისო პრესტიჟის აშკარად ზრდის წლები.

ამავე დროს, ეს იყო წლები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას, უფრო ღრმად გავაზროთ შექმნილი პრობლემები, მათი დაძლევის გზები, რიგობრივად მივხედოთ ჩვენს უმდიდრეს ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას, მხარი დავუჭიროთ ყოველივე მხარდასაჭერს, გვქონდეს პარტიული და მოქალაქეობრივი პოზიცია.

დღეს როცა ლაპარაკია კულტურის თეორიისა და, საზოგადოდ, მისი განვითარების ძირეულ პრობლემებზე, შეუძლებელია მდიდარი ტრადიციების უგულვებლყოფა. ამასთანავე, სრულიად აშკარაა, რომ თანამედროვე ადამიანი ხელოვნებისგან მოითხოვს პასუხს თანამედროვეობის მრავალწახნაგოვან სოციალურ პრობლემებზე, მოითხოვს ისეთ მხატვრულ აზროვნებას, რომელიც სწორად ეხმიანება და ასახავს საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკას, ამკვიდრებს მოწინავე ჰუმანისტურ იდეალებს.

ჩვენი საზოგადოება შევიდა თავისი განვითარების თვისებრივად ახალ ფაზაში. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და მასთან დაკავშირებულმა ამოცანებმა მოიცვეს ცხოვრების ყველა მხარე, თავის მხრივ, ყოველივე ამან განაპირობა თითოეული საბჭოთა ადამიანისადმი, მისი შეგნებისა და ფსიქოლოგიისადმი მოთხოვნების ზრდა, შესაბამისად, ჩვენი სულიერი ბერკეტის — კულტურისა და ხელოვნების მიმართ.

რა მაღალფარდოვნადაც უნდა ქლერდეს, სრულიად აშკარაა ერთი რამ: ჩვენ სხვებთან ერთად არა გვაქვს უფლება

მთელი შეგნებით, პატრიოტულობით, მოქალაქეობრივობით არ გავიზიაროთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას და სწორად წარმართვას უკავშირდება.

ბუნებრივია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დიდი კულტურული ფასეულობები დაგვიმისვადებსა თუ იმპერატიულ გადაწყვეტილებათა პირობებში შეიქმნება, მაგარამ, ამასთანავე, სწორედ ეს პასუხისმგებლობა, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, გვაიძულებს ვიყოთ არა მოვლენათა აღმნუსხველები, ნიჭიერების მომლოდინენი, არამედ მათი აღმომჩენნი, მხარის დამჭერნი და შემოქმედებითი პროცესების კეთილსინდისიერად წარმართველნი.

საამისო პირობები ნამდვილად გვაქვს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ერთიანობა, რაც არსებობს სამინისტროსა და შემოქმედებით კავშირებს შორის, ის უაღრესად გულწრფელი და საქმიანი მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ მრავალი მოღვაწისაგან, შემოქმედისაგან, პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელისაგან.

აქ არ შემოძლია გვერდი ავუაროთ მთელი ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი — თეატრს, იმ ფაქტს, რომ თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად მრავალი სირთულის გადალახვა გვიწევს. სხვაგვარად არც არასოდეს ყოფილა.

მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვხედავთ ამ სირთულეების გადალახვის გზებს, თეატრალური ცხოვრების ახალი თვისებებით გამდიდრების შესაძლებლობებს, მეტი მომთხოვნელობისა და ნიჭიერი ხალხის წახალისების საშუალებებს.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრში კარგა ხანია აქტიური პოზიციები დაიმკვიდრეს ისეთმა ქმნილებებმა, რომლებიც მიმართულია ჩვენი საზოგადოების წინსვლის დამატკბოვებელი მოვლენების წინააღმდეგ. მათი პოზიტიური ძალა მამხილებელ პათოსშია. ისინი მაყურებელთა განსაკუთრებულ რეაქციას იწვევენ და მებრძოლ საზოგადოებრივ მისიას ატარებენ. უფროსი თაობის გვერდით, ზნეობრივ სფეროში, და-

მაფიქრებელი ძიებებითაა აღბეჭდილი ახალგაზრდა დრამატურგების შემოქმედება. ეს დასტურდება როგორც განხორციელებული სპექტაკლებით, ასევე საყრილობოდ გამოცხადებული კონკურსის შედეგებით. კულტურის სამინისტროს განზრახული აქვს, აქტიურად ამოუდგეს მხარში დიდად სასარგებლო საქმეს, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირი და თეატრალური საზოგადოება წარმართავენ დრამატურგებთან მუშაობის თვალსაზრისით.

შეჯამდა დრამატულ ნაწარმოებებზე საყრილობოდ გამოცხადებული კონკურსის შედეგები. შეირჩა ოცამდე ახალი პიესა, რომლებიც სხვადასხვა ასპექტში ეხილავებიან თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებს კრიტიკული და ამავე დროს სიცოცხლის, სიჯანსაღის დამამკვიდრებელი პათოსით. საგულისხმოა კონკურსის მასშტაბურობა (100-მდე პიესა იყო წარმოდგენილი), ავტორთა დაინტერესება თანამედროვეობით, თეატრთან თანამშრომლობით. გამოვლინდა საინტერესო ახალგაზრდობა, რომლის სიტყვა, ვფიქრობ, გაამდიდრებს რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარს.

სამწუხაროდ, ვხედავთ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც წლების მანძილზე რეჟისორები და მსახიობები ირიცხებიან თეატრებში, ფაქტიურად კი არაფერს ქმნიან. ასეთი რამ იწვევს პროფესიულ დისკალიფიკაციას და საერთო უკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ შემოქმედებითი მუშაობის სპეციფიკურობაზე. აქ ადგილი აქვს უპასუხისმგებლობას, მოვლენებს და ყოველივე ამას პრინციპული შეფასება სჭირდება.

რესპუბლიკის თეატრების სცენებზე უთუოდ უნდა განხორციელდეს ისეთ ნაწარმოებთა დიდება, რომლებიც დაფიქრებს მაყურებელს, ჭეშმარიტ მოქალაქეობრივ, ზნეობრივ პრინციპებს დაამკვიდრებს. ამის იმედს გვინერგავს ახალგაზრდა დრამატურგების ძიებები. ერთ-ერთ თავყრილობაზე ჩვენმა შესანიშნავმა კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემ ბრძანა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია არა აქვს მზარეულის ასაკს... მნიშვნელობა

აქვს დამხადებული კერძის ხარისხს. ამდენად, ლაპარაკია ჭეშმარიტად ნიჭიერ შემოქმედებით ახალგაზრდობაზე, ჩვენი კულტურის ხვალისდელ დღეზე, იმაზე, რომ მათთან მეტი მუშაობა გვმართებს.

კარგად გვესმის, რომ მკვეთრად უნდა გარდავქმნათ მუშაობა ქალაქებისა და რაიონების კულტურული ცხოვრების ამაღლების თვალსაზრისით. არ გვეპატიება, რომ წლების განმავლობაში საქართველოს მრავალი კუთხე მოკლებულია შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ხელოვნების ოსტატებთან შეხვედრების საშუალებას. გვაფიქრებს ისიც, რომ ხშირად მთელი რიგი ეგრეთ წოდებული მხატვრული ბრიგადების მივიღებთ არათუ თანამედროვე კულტურის პროპაგანდის სამსახურშია ჩაყენებული, არამედ, პირიქით, უხერხულ ტვირთად აწევს რაიონის ხელმძღვანელობას და თავისი იაფფასიანი, სრულიად უგემოვნო და მიუღებელი მხატვრული დონით სასიამოვნო ემოციების ნაცვლად მოსახლეობაში დაუკმაყოფილებლობას და ზოგჯერ აღშფოთებასაც კი იწვევს. ეს ჩვენი საკითხებია, სამინისტროს საკითხები და ჩვენ უნდა მოვაგვაროთ. არავინ თქვას, რომ ტელევიზიისა და, საერთოდ, ინფორმაციის უსასრულოდ მოზღვაების ვითარებაში ცოცხალ, უშუალო კონტაქტებს რაიმე შეედრება.

ამდენად, ჩვენი საზრუნავია შემოქმედებითი პროცესების სწორ იდეურ-მხატვრულ პოზიციებზე წარმართვა და ხალხის, მთელი რესპუბლიკის საკუთრებად ქცევა. საბედნიეროდ, დღესაც, როგორც ყოველთვის, საქართველო მდიდარია ტალანტებით და, სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი კულტურული მიღწევების პროპაგანდას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უცხოეთში, მეტი ასპარეზი ეძლევა.

რაც დრო გადის, მსოფლიოში იზრდება ინტერესი ქარ-

თული ხელოვნების მიმართ. ამის დამადასტურებელი მაგალითების სიმრავლე გვაიძულებს, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენი ეროვნული კულტურის პრესტიჟის ამღობისა და განმტკიცების უაღრესად საჭირო საქმეს, მაგრამ, ამასთანავე, მრავალი საკითხი უფრო სერიოზულ განხილვას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მკითხველთა ყურადღებას შევაჩვენებ ჩვენი უდიდესი განძის — ხალხური სიმღერისა და ცეკვის სწორად მოვლა-პატრონობასა და პროპაგანდას.

ფაქტია, ხშირია იმის მაგალითები, როცა პროფესიული თუ თვითმოქმედი კოლექტივები უცხოეთიდან დაახლოებით ერთნაირი პრესითა და აღიარებით ჩამოდიან, და თუ ჩვენი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორი მაყურებლის ტაშს იმსახურებს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს. თუ ჩვენი მხატვრული კოლექტივები ზოგჯერ უცხოეთში და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უფრო ხშირად და ინტენსიურად მოღვაწეობენ, ვიდრე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, არ ვიზრუნოთ იმაზე, რომ პირველ რიგში ესა თუ ის კოლექტივი ჯერ ჩვენმა მაყურებელმა არ აღიაროს, ჩვენმა სახელგანთქმულმა შემსრულებელმა საქართველოს ყველა მხარე არ მოიარონ.

ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების, მხატვრობისა და საზოგადო, კულტურის დღითიდღე აღმავალი ავტორიტეტი სრულიად არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. ამოცანების სერიოზულობა, მასშტაბები, უეჭველს ხდის სამინისტროს მთელი საქმიანობის, მუშაობის მეთოდებისა და სტილის ღრმა და კრიტიკულ გადახედვას და, რაც მთავარია, ახლებური მიდგომით პრობლემების ახლებური გაზრებით გადაწყვეტას. დღის წესრიგში მწვავედ დგას საკითხი სამინისტროს სისტემაში მომუშავე კომუნისტთა, ხელმძღვანელთა, ადმინისტრაციულ მუშაკთა ფუნქციური პასუხისმგებლობის ფუნქციური პასუხისმგებლობის შესახებ.

დღეს, როცა ხშირადაა ლაპარაკი ექსპერიმენტებზე, ჩვენს უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, საქმე დავაიროთ იმ ადამიანებს, რომელთაც მუშაობა შეუძლიათ და, რომლებიც თავის მოვალეობას შეასრულებენ პირნათლად. რასაკვირველია, ვგულისხმობ არა მოჩვენებით, არამედ აზრიან, საქმის სწორად წარმართვისათვის

საჭირო აქტიურობას. მაგრამ ეს აქტიურობა არ აღმოჩნდება საქმარისი, თუ ადგილებზე დამოკიდებულება კულტურული ცხოვრების მნიშვნელობისადმი, საზოგადოდ, და დარგის კადრებისადმი, კონკრეტულად, მთელ რიგ შემთხვევებში რადიკალურად არ შეიცვალა; თუ შევეგუეთ იმას, რომ კულტურის სფერო, ხშირ შემთხვევებში, განდა თავშესაფარი ამ საქმისათვის შეუფერებელი ხალხისათვის. რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელში მათი რიცხვი 40 პროცენტს აღწევს, მაგალითისათვის: ბიბლიოთეკებში მუშაობენ აგრონომები, ზოტექნიკოსები, მედიცინის, ვაჭრობის, კვების მრეწველობის სპეციალისტები. არის შემთხვევები, როცა რაიონის საჭიროებისათვის გამოყოფილი ლიმიტით მომზადებული სპეციალისტი სოფლად ჩადის და უადგილობის გამო სრულიად სხვა სამუშაოზე ეწყობა, როცა ავარიის შედეგად მიღებული ტრავმის გამო ეგრეთ წოდებული საბასუხისმგებლო თანამდებობის პირს აშკარად მცდარად შერაახულ, შედარებით მშვიდ და უწყინარ ადგილს — კულტურის დაწესებულების ხელმძღვანელობას შესთავაზებენ. ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ როგორც კადრების სერიოზულ გადახალისებასთან ერთად, ისე მთელი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში ძალზე სერიოზული ამოცანების წინაშე ვდგავართ. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენი მუშაობის ფორმები არააქტიუალურია. სოფლად საკლებო მუშაობა ხშირ შემთხვევაში დაცლილია შინაარსისაგან.

ერთი სიტყვით, თუ გვიხდა, რომ პრობლემა გადაწყდეს და ეს აუცილებელია, ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ კულტურის დარგის მუშაკთა პრესტიჟის ზრდას, კადრების სწორად გადახალისებას, სტიმულირებას და, რაც მთავარია, შემოქმედებით კავშირებთან ერთად თანადროული შინაარსის შეტანას ამ საქმიანობაში. კულტურული ცხოვრების დიდ მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ლაპარაკიდან საჭიროა კონკრეტულ საქმეზე გადასვლა და ამ დარგისადმი ისეთი პასუხისმგებლობით მოპყრობა, როგორც ვთქვათ, სახალხო მკურნაობის სხვა დარგებისადმი.

ამასთანავე, თუ კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რიგიანად მოწყობისათვის ადგილობრივი პარტიული და

საბჭოთა ხელმძღვანელობა მეტად არ დაგვეხმარა (არის ამის კარგი და ძალიან კარგი მაგალითებიც) მდგომარეობა გართულდება, უფრო სწორად, გართულებულია, რადგან სამინისტროსათვის გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა შეზღუდულობა უკიდურესად ძველ ვითარებაში გვაყენებს. ამის სწორად გაგება ყველას არ ძალუძს. დიდი იმედი გვაქვს სხვა მატერიალურად შეტი შესაძლებლობების მქონე სამინისტროებისა და უწყებებისა, რომელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩვენი სულიერი კულტურული ცხოვრების შემდგომ ამღობასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ და მხოლოდ კულტურის სამინისტროსა და ხელოვნების დაწესებულებათა ინტერესებს არ უნდა შეადგენდეს.

მეთერთმეტე ხუთწლეულში გამოყოფილი კადაბანდებები მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებული სამუშაოების მხოლოდ ერთ მეექვსედს მოიცავდა. შეიქმნა დადგებილებების შეუსრულებლობით შექმნილი უკმაყოფილების ატმოსფერო. ჩვენ კი საშუალებები არა გვაქვს.

ასეთია რეალური ვითარება.

ამასთანავე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგვემო კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროში გვემისა და ბიუჯეტის პროექტის შეთანხმებისას, ადგილობრივი ხელმძღვანელობა ზოგჯერ ნაკლებად იბრძვის მათ ბალანსზე მყოფი კულტურის დაწესებულებების დაფინანსებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე პარტიის ცენტრალური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას უთმობს კულტურულ მშენებლობას. ამ თვალსაზრისით აშკარად ვგრძობთ საქართველოს კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აქტიურ მხარდაჭერას.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მშრომელთა თავისუფალი დროის შინაარსიან დატვირთვას, სერიოზული მოთხოვნები წაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის წინაშე და, გავიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ რესპუ-

ბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საერთო ძალებით უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი კულტურული საქმიანობები ხორციელდება. იტიბილები, სახალხო დღესასწაულები, ფესტივალები, ჩვენს საქმიანობა მაინც მოკლებულია სტაბილურ ხასიათს. საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომაზე უფრო მეტად ვლაპარაკობთ, ვიდრე ვაკეთებთ. ამიტომ გვინდა, ვცადოთ მართლაც კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში.

ყველა შეგნებულ ადამიანს საჭიროება ინტელექტუალურ-კულტურული მოთხოვნისა და დაკმაყოფილება.

ასევე საჭიროებათ კულტურის დარგის ჰეშმარტ მოღვაწეებს მეტი ყურადღება, მეტი ხელშეწყობა, მათი ნამდვილი შრომის დანახვა და დაფასება. ამ მხრივ რეალური საფუძვლები იქმნება საქმის უკეთესად წარმართვისათვის, ხელოვანთა შრომის დაფასებისათვის. მხედველობაში მაქვს ხელოვნების დარგის მუშაკთა ის კატეგორია, რომელიც შრომითაა გართული, მუდმივ შემოქმედებით ძიებებშია და საკუთარ თავს უფლებას არ მისცემს თავის წარმოჩინებაზე, წოდებების მინიჭებასა თუ სხვა საკითხებზე ყოველად შეუფერებლად, მომაბეზრებლად აქტიურად იზრუნოს.

სამინისტროს თავის მოვალეობად მიაჩნია, უფრო მეტად შეეცადოს, ავი ვაარჩიოს კარგისაგან და მიხედოს საკითხებს, რომლებზეც ხშირად იტყვიან ხოლმე, ამას მაინც არაფერი ეშველებაო. სამინისტროს უწევს მძიმე საუბრების წარმართვა, სამწუხაროდ, ჩვენს დაწესებულებებში არსებულ ე. წ. ბალანსთან დაკავშირებით. ხელფასის ზოგჯერ პენსიას ემსგავსება. თანდათან უნდა გავთავისუფლოთ მათგან.

ხშირად ვუბრუნდებით ხოლმე წარსულის მაღალხეობრივ მაგალითებს, კულტურის მოღვაწეთა თავდადებისა და ჰეშმარტ ერისკაცობის ნიმუშებს. თუნდაც ბოლო წლების მანძილზე რამდენი შესანიშნავი პიროვნება, ხალხის მიერ აღიარებული მოღვაწე მამულიშვილი დააკლდა თითოეულ ჩვენგანს, დააკლდა მათი ღრმა განსჯა, ომანიანი და გულში ჩამწვდომი შეძახილი, კეთილშობილებით გაქცენილი იუმორი, სისადავე და საოცარი დამაჯერებლობა. ისინი დღესაც გვზრდიან და გვეხმარებიან.

ამას წინათ, ტიციან ტაბიძის საიუბილეოდ გახსნილ ექსპოზიციაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლადო გულიაშვილის ჩანაწერმა, რომ „ქიშკრიონის“ შეხვედრებმა და საღამოებმა უდიდესი როლი შეასრულა იმდროინდელი მხატვრული ინტელიგენციის ეროვნული სახის ჩამოყალიბებისა და მისი პოზიციის განმტკიცების საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მწერლები და ხელოვნების მუშაკები ხვდებოდნენ ერთმანეთს“.

დღეს ადგილიც ბევრია, საკამათოც და განსაცხელიც, მაგრამ დედაქალაქს, რესპუბლიკას მაინც აკლია ის განწყობილება და შთაგონება, რაზეც მხატვარი წერდა. საზოგადოება მოკლებულია სერიოზულ საუბრებს თანამედროვე კულტურული ცხოვრების შესახებ. თუ თეატრალურ პრობლემებზე ასე თუ ისე იწერება და დისკუსიებიც იმართება, სრული სიჩუმეა თანამედროვე მხატვრობის შეფასების მხრივ. თითქმის არ არის შემთხვევა გამოფენების განხილვისა, ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა. ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოება სრულიად მოკლებულია ხელოვნებათმცოდნეთა დაკვირვებებს ამ სფეროში. მე არ ვგულისხმობ ხოტბებს და არაფრისმთქმელ აღწერილობით პუბლიკაციებს. მრავალი ნაწარმოები მიუტყვევებლად უყურადღებოდ რჩება. თუხდაც ძეგლები ავიღოთ. რესპუბლიკაში მონუმენტური ხელოვნების უდავო აღორძინებას კვალიფიციური შეფასება სჭირდება.

პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში ნათქვამია: „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე ფართო სარბიელია გადაშლილი ხამდელიად თავისუფალი შემოქმედებისათვის, ოსტატობის დახვეწისათვის, მრავალფეროვანი რეალისტური ფორმების, სტილებისა და ქანრების შემდგომი განვითარებისათვის“. ეს ფორმულირება ნათლად გამოხატავს იმ დიდი არჩევანს! შესაძლებლობას, რაც კულტურის დარგის მუშაკებს საშუალებას აძლევს გააფართონ, გაზარდონ, გაამრავალფეროვონ თავიანთი შემოქმედებითი არსენალი; შეუბოჭვად იაზროვნონ ფორმისეული სიახლეების დასამკვიდრებლად, რათა უფრო სახიერო, შთაბეჭქდავი გახადონ ჩვენი სინამდვილის ყოველდღიურობა. უფლება არა გვაქვს, მხარი არ დავუჭიროთ პროგრესულ

სიახლეს, თუ ეს ნოვატორობა მხოლოდ ფორმისეული ძიებების ჩარჩოებში არ დარჩება და მისი უპირველესი მიზანი იქნება როგორც იდეური, ასევე მხატვრული მიგნებების გაღრმავება.

რა თქმა უნდა, სამინისტროს უმთავრესი საზრუნავი შემოქმედებითი ძალების სწორად წარმართვით უხდა გამოიხატოს; ქალაქის, რაიონის, საერთოდ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების თანამედროვე ფორმებით პრობანდის სიახლეებში გამოვლინდეს. დიდი ხანია, დადგა დრო, რათა ხელოვნების მუშაკთა მატერიალური სტიმულირების, ნორმალური სამუშაო პირობების შექმნაზე მეტი ვიზრუნოთ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ თვალსაზრისით რესპუბლიკაში უამრავი რამ გაკეთდა და კეთდება, მაგრამ ეს მაინც არ შველის ამ სიძნელეებს. მთელ რიგ სახელმწიფო შემოქმედებით კოლექტივებს არ გააჩნიათ საკუთარი სარეპეტიციო ბაზა. ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური რესურსები სრულიად არ შეესაბამება დარგის წინაშე არსებულ რეალურ მოთხოვნილებებს და მრავალი სხვა. ამის საილუსტრაციოდ არსებული სერიოზული შეუსაბამობების დამადასტურებელი ფაქტების მოტანისაგან, ამ შემთხვევაში, თავს შევიკავებ.

აღნიშნული თემის წამოჭრა გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამინისტროს პარტიული ორგანიზაცია, მთელი კოლექტივი ცდილობს, მოძებნოს უწყებრივი მიდგომის დასაძლევე გზები. სრულიად ბუნებრივია, რომ მხოლოდ კულტურის სამინისტროს შესაძლებლობებით შემოქმედებითი ორგანიზაციების პრობლემები ვერ გადაწყდება.

კულტურის სამინისტროს პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი საქმისადმი პრინციპული და თვითკრიტიკული დამოკიდებულება, დარგის უამრავი მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი მუშაკის განწყობილება მაძლევს საფუძველს ვახვაცხადო — მიუხედავად ძრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის სირთულისა, არის იმის შესაძლებლობები, რომ სამინისტროს საქმიანობა ჯეროვნად წარმართავდეს ჩვენი ეროვნული, სოციალისტური კულტურის შემდგომ წინსვლას, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.



მოსკოვი. სპპ XXVII ყრილობა.

სურათზე: ყრილობის დელეგატები, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები, სხდომათა შორის შესვენებაზე ფოიეში ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ შთაბეჭდილებებს.

სურათზე: ყრილობათა სასახლის სხდომათა დარბაზში.





თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ჭიშკრიდან მწყობრად გამოდიან ახალი მძლავრი რვაღერძიანი მაგისტრალური ელმავლები, რომლებსაც მოუთმენლად ელოდებიან სვერდლოვსკისა და კემეროვოს, მოსკოვისა და სხვა რკინიგზები. სამრეწველო ელმავლებმა და ელექტრომტაბელერებმა, რომლებიც აქვე მზადდება, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გაუთქვეს სახელი ქარხნის მრავალათასიან კოლექტივს.

ამჯერად, ჩემი სურვილია გავაცნოთ მისი ერთ-ერთი სახელოვანი ადამიანის გურამ მეტონიძის თავდადებული საქმიანობა.

ადრე საამწყობო საამქროში კარკასებზე აპარატების დაყენებასა და მათზე დაბალი და მაღალი ძაბვის ელექტრულ მონტაჟს ელმავლის ძარაში ჩაშვებამდე და ჩაშვების შემდეგ ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული თერთმეტი მცირერიცხოვანი ბრიგადა ასრულებდა. ასეთ პირობებში მეტად გაძნელებული იყო ელმავლის ელექტრულ მონტაჟში მონაწილე ყველა ბრიგადის ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა, მათი სინქრონიზებული მუშაობის ორგანიზაცია. ერთ ბრიგადაში მუშაობის ჩაშლა, როგორც წესი, მეორის მოცდენას იწვევდა და ამ მიზეზით დიდი იყო სამუშაო დროის დანაკარგები, ირღვეოდა ელმავლის მონტაჟის გრაფიკი.

გარდა ამისა, ასეთი მცირერიცხოვანი ვიწროსპეციალიზებული ბრიგადები ნაკლებად უპასუხებენ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის ამოცანებს.

გურამი ბევრს ფიქრობდა ამ უბანზე შემოჩამოთვლილი ხარვეზების გამოსასწორებლად, მაგრამ გრძობდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იყო და დიდი დაბრკოლებების გადალახვას მოითხოვდა. სწორედ

ამან უფრო მეტად დააინტერესა — შრომაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლა ხომ მისი ბუნებრივი მოთხოვნილება გახლავთ!

ხშირად ნახავდით მას ხსენებულ უბანზე მუშებთან მოსაუბრეს. საუბარი ზოგჯერ მეტად საქმიან კამათში გადაიზარდებოდა ხოლმე, რათა იმ დასკვნამდე მისულიყვნენ; თუ რა ელონათ შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის. ყველა გზა კი შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის შემდგომი განვითარებისაკენ მიდიოდა და მცირერიცხოვანი ბრიგადების გამსხვილებას ითვალისწინებდა. ამაში ხედავდა გურამი შრომითი რესურსების მეტად რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთ სწორ მიმართულებას, ვინაიდან იგი იძლეოდა მომიჯნავე პროფესიებისა და შრომითი ფუნქციების ათვისებისა და გამოყენების ფართო შესაძლებლობას.

კარგად იცოდა, გურამ მეტონიძემ, თუ რა რთული ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა მოუწევდა. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ძნელი და თავსამტკრვეია სხვადასხვა პროფესიის, კვალიფიკაციის, ასაკის, ჩვევებისა და სხვა მონაცემების ადამიანების ერთ შრომით კოლექტივად შეკვრა და მათი შრომის ორგანიზაცია საბოლოო მიზნის მისაღწევად. ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ რთული საკითხის გადაჭრას მოითხოვდა.

გურამი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ორი გამსხვილებული ბრიგადის შექმნა, რომელთაგან ერთი აპარატებს დააყენებს კარკასებზე და მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტრომონტაჟს შეასრულებს, ხოლო მეორე ელექტრომონტაჟს გააგრძელებს ელმავლის ძარაში.

გურამი ამ აზრს უზიარებდა

თითქმის ყველას, ვინც კი ამ საქმესთან იყო დაკავშირებული, ვისაც ეს საქმე ესმოდა და მისცემდა საქმიან რჩევას. ამხანაგების ნაწილს არ გაჰკვირვებია ყოველივე ეს. საამქროს ხელმძღვანელობა და მეგობრები მხარში ამოდგომას პპირდებოდნენ.

მაგრამ ზოგიერთი ამ ამბავს სკეპტიკურად შეხვდა — ზოგს სამუშაოთა გაერთიანება აეჭვებდა, ზოგსაც 22 კაცის ერთად მუშაობა აფიქრებდა და მათი ერთი განწყვიტით შრომა წარმოუდგენლად მიაჩნდა.

აზრთა ასეთ ჭიდილში ჩამოყალიბდა ელექტრომემონტაჟეთა გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადა და, როდესაც დაისვა საკითხი, თუ ვინ უხელმძღვანელებდა მას, არჩევანი ერთხმად გურამ მეტონიძეზე შეჩერდა.

არჩევანი არ ყოფილა შემთხვევითი. ეს გურამმა თავისი თავდადებული, პატიოსანი შრომით დაიმსახურა, რაზეც ნათლად მეტყველებს მისი მოკლე ბიოგრაფია. შრომითი საქმიანობა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაში დაიწყო 1959 წელს — საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის გავლის შემდეგ. 1964 წელს მიიღეს სკკპ წევრად, არის ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი. მიღებული აქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

გურამ მეტონიძეს ჰყავს ორი ვაჟიშვილი, არჩილი და დავითი. ორივემ გაიარა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური. ახლა არჩილი ტექნიკუმში სწავლობს, დავითი კი ელმავალმშენებელ ქარხანაში მუშაობს და პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების სტუდენტია. ოჯახის დიასახლისი ეკატერინე მზრუნველობას არ აკლებს სამ ვაჟაყაც. მეტონიძეების ოჯახში საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევს.

დღეები გადიოდა. ბრიგადის წევრები ყველაფერს კეთილსინდისიერად, კარგად აკეთებდნენ. იგრძნობოდა, რომ მუშაობდა არა ოცდაორი განცალკევებული მუშა ერთეული, არამედ მჭიდროდ შეკრული რაზმი, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა.

გადის წლები, ქარხანა მხრებს შლის, ქალაქ თბილისის საპატო მოქალაქის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გურამ მეტონიძის ბრიგადა ახალ შრომით წარმატებებს აღწევს.


ამ ცოტა ხნის წინათ ბრიგადამ წარმატებით გაართვა თავი მძლავრი მუდმივი დენის თორმეტღერძიანი მაგისტრალური სატვირთო ელმავლის „ვლ-15-ის“ ელექტრულ მონტაჟს. ახლახან სკკპ XXVII ყრილობაზე მისი ხელმძღვანელი გურამ მეტონიძე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს. იგი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ბრიგადა ძალების გაფურჩქენის ხანაშია: საშუალო წლოვანება ოცდაათხუთმეტ წელს არ აღემატება. ყველას საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. მისი წევრები — დავით სართანია, საბა ცინცაძე და როინ კიკვიძე წარმოებისაგან მოუწყვეტლად საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ, დავით შველიძე ამავე ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზეა, რამდენიმე ახალგაზრდა კი უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება.

მათ უყვართ მშობლიური ქარხანა, საამქრო და დიდად ეამაყებათ თავისი ბრიგადა, რომელსაც გურამ მეტონიძესთან ერთად თვითონაც გაუთქვეს სახელი.

გურამ ხუნდაძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.



გურამ მეტონიძე საამქროში ვაჟიშვილთან ერთად.

ელექტროსამონტაჟო უბანზე.


შინ.

გურამ მეტონიძე — თბილისის საპატიო მოქალაქე,
№ 20 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებთან.

ფოტორეპორტაჟი ბონდო დაღვაძისა.




საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტის წევრობის კანდიდატი გურამ მეტონიძე.





ოშკანი



ობილისის ქუჩებში.



ვალმაზიძე.



ჩურჩხელები.

ფერიდე მანაგაძე



ხოფელი ქავთარაძე.

მარანი



ეროვნული
მუზეუმი

რუსუდან მეტრეველი

იების გამყიდველი



დედა-ენა

ლუარსაბი და დარეჯანი



სოფლის ქაეკვესი

როცა ჩემს ძველ მეგობარს თამარ გოგობიას ვხვდავ, მაგონდება დიდი უკრაინელი პედაგოგის სუბომლინსკის სიტყვები: „აკეთე ისე, რომ გარემომო მყოფი ადამიანებისთვის იყო კარგი... ჩემი გული ბავშვებს ეკუთვნის“...

აი ასეთი ადამიანია წარჩინებული მასწავლებელი თამარ გოგობიაც, რომელიც აფხაზეთის ლამაზ სოფელ ფშაფში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

დამსახურებულ მასწავლებელზე კეთილ სიტყვას არ იშურებენ თანასოფლელები — ახალგაზრდები თუ შრომის ვეტერანები. კოლეგები მას უმაღლიან საშუალო სკოლის შენობის აგების თაოსნობას, შრომითი სწავლების წამოწყებას, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას კოლექტივში, მშობლიური სოფლისადმი სიყვარულის გაღვივებას.

შრომითა და ბრძოლით განათებული ბიოგრაფია აქვს თამარ მასწავლებელს:

იგი დაიბადა სამურზაყანოს სოფელ საბელიოში. დედ-მამამ შეაყვარა მას შრომა. თბილისის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, ფიზიკურად მუშაობდა რკინიგზის სატვირთო სადგურში. აქვე მიიღეს პარტიაში... ქოჩარაში რეზინის ჩექმებიანი თამარი უთენია ტრიალებდა დანამულ პლანტაციებში. თა-

ვილონში, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჭაბუკივით დააგეგვებდა თავის წაბლისფერ ცხენს სოფლის ბილიკებზე, ჭალებსა და ენგურისპირა საძოვრებზე.

ერთ დროს დიდ პარტიულ სამუშაოზე იყო — ჯერ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ პროპაგანდის განყოფილების გამგე ვახლად, შემდეგ ხელმძღვანელობდა აფხაზეთის რადიო-მაუწყებლობის კომიტეტს, მაგრამ გული მაინც სკოლისკენ, ბავშვებისკენ მიუწევდა.

პედაგოგიურ სარბიელზე მან კარგად გამოიყენა თავისი კომკავშირული და პარტიული საქმიანობის ძვირფასი გამოცდილება. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფის სკოლას, რომელსაც თამარ გოგობია კარგა ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა.

სოფელში ახლაც ზღაპარივით დადის მისი ენერგიული მოღვაწეობის ამბავი. ხალხმა, სოფელმა არ დაუკარგა ამაგი. ამიტომაც აქ გულწრფელად გაეხარდათ, როცა თამარ გოგობია და მისი მეუღლე, მისებრ სახელოვანი და დამსახურებული პედაგოგი, ფშაფის მიწაზე დასახლდნენ.

სოფელში მკვიდრდება ახალი წეს-ჩვეულებანი, რიტუა-

ლები: კოლმეურნედ კურთხევა, შრომის ზეიმი, დამსახურებულთა იუბილეები, ვეტერანებთან შეხვედრები, წვევამდელთა გულთბილი გაცილება, პასპორტის საზეიმო გადაცემა, ხსოვნის დღე... ამ სიახლეთა მოთავეები არიან კომუნისტები, კომკავშირელები, დეპუტატები, მასწავლებლები.

ერთი მათგანი ვახლავთ სოფლის საბჭოს დეპუტატი თამარ გოგობია. მისი კაი ქალობა ხომ ყველაზე უკეთ კარის მეზობლებმა იციან. აი რა მითხრა ხუთი შვილის დედამ ზემინარ თოდუამ:

— დედა თამარი უბრალო და თავმდაბალი ადამიანია, სოფლის ტალკვესი, სიმართლის მთესველი...

ზემინარამ მეზობლის ჭიშკარი შეალო და დასძინა:

— აი როგორ ცხოვრობს იგი.

უბრალოება, ზომიერება, მოკრძალება იგრძნობა ამ ოჯახში. განა სხვანაირი ცხოვრება ეკადრება დორმენდონ გოგობიას ასულს. აქ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ თამარის მამა გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა სოსო ჯულაშვილთან ერთად. იგი სხვებზე უფრო მეტად დაახლებული ყოფილა სოსოსთან და ხშირად დადიოდა მის სახლში.

მრავალი წლის შემდეგ, ომის წინ, როცა დორმენდონ გოგობიას დიდი მეგობარი მშობლიურ საქართველოს ეწვია, იგი ყრმობის ამხანაგს რკინიგზის ოჩამჩირის სადგურში



შეხვედრია და დიღხანს უსაუბრაოთ კიდევ.

აფხაზეთის ასრ დამსახურებულ მასწავლებელს, სახალხო განათლების წარჩინებულს, სამშობლოს არაერთი ჯილდოს კავალერს თამარ გოგობიას პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ოდნავ თმაშევერცხლილ თამარ მასწავლებელს ხანი და დალილობა სრულიადაც არ ეტყობა, იგი კვლავ ხალისიანად, მონდომებით, სიყვარულით ემსახურება ნორჩი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს.

სარგო შონია,
შურნალისტი.

გულრიფშის რაიონი, სოფელი ფშაფი.

ორიგინალური ხელწერის მხატვარი

თითქმის ყველა, ვინც წერს მხატვარზე, ცდილობს შეეხოს ხელოვანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ძირითად თემას. როდესაც რუსულან მეტრეველი-ჭელიძის ნამუშევრებს ვეცნობით, ვხედავთ, თუ როგორ იკვეთება სწორედ ეს ძირითადი თემა, დედა-შვილობისა თუ ბავშვების თემა მის ბოლო წლების ნაკეთობებში.

თავისებური კერამიკული ხელწერით ქმნის მხატვარი ქალი მცირე ზომის თიხის ნაკეთობებს: „აკვანთან“, „ტყუპები“, „ბავშვებში“, „დედა-ენა“. ეს მთელი ციკლია კერამიკული პლასტიკისა, პირობითი, დეკორატიული ენით ამეტყველებული.

ავტორისეული სამყარო, რომელიც მხანველს განაწყობს სასიკეთო შეგრძნებით, უხვად მოედინება მხატვრის კაცთმოყვარე გულიდან. მხატვარ ქალს განსაკუთრებით იზიდავს სახასიათო, უარყოფი, მოცულობითი პლასტიკა.

ეს ითქმის „იების გამყიდველი ბიჭის“ ლაქონიურ ფიგურაზე, თუ ძველი თბილისის კოლორიტულ მემაწვანზე განუყრელი ჩოჩრით. ისინი შინაგანად მკვრივი და მონუმენტურნი არიან. ტექნიკური საშუალებებითაც ავტორი სხვადასხვა კომპოზიციას შესაფერისად უხამებს.

შამოტის ცეცხლგამძლე მასიდანაა ნაძერწი „ლუარსაბისა და დარეჯანის“ ფიგურები.


რუსულან მეტრეველი-ჭელიძის ნამუშევრები დიდი გულწრფელობითა და უშუალოდ გამოირჩევა. მათ ყოველთვის თან ახლავთ მსუბუქი იუმორი და ის შინაგანი ქალური სითბო, რითაც ასე უხვდაა დაჯილდოებული ნიჭიერი კერამიკოსი.

ორმოცდაათიან წლებში დაამთავრა მან თბილისის სამხატვრო აკადემია. ფაიფურის მასალით შესრულებული სადიპლომო ნამუშევარი „ყავის სერვიზი“ ფრიალზე იქნა შეფასებული. აქედან მოყოლებული, იგი სისტემატურად მონაწილეობს მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთულ გამოფენაში.

მისი ნამუშევრების გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, ბელგიაში, კანადაში, ნორვეგიაში. 1970 წელს იტალიაში, ქალაქ ფანეცის საერთაშორისო გამოფენაზე, მისი ნამუშევრები დიპლომებით დაჯილდოვდა.

მყუდრო, ნათელი ოჯახის დიასახლისი, შესანიშნავი მეუღლე და დედა, იგი განუზომელი სიყვარულით ევლება თავს სამ შვილიშვილს — ლაშას, ნუცასა და რუსულანს. მათ გვერდით ქმნის და აქანდაკებს მშვენიერ კერამიკულ ლარნაკებსა თუ ღოჭებს, მარნებს, ჯამებს...

ალექსანდრე



გიორგი ჩიტაია
და პაატა გუგუშვილი

ამ ფოტომოტორობის პირველ სურათზე აღბეჭდილია ორი დიდებული ქართველი, ორი შესანიშნავი მამულიშვილი, — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გიორგი ჩიტაია და პაატა გუგუშვილი.

გიორგი ჩიტაია და ცისქვეშა მუზეუმის გახსნისას თბილისში.



1964 წელი. ტურ ჰეიერდალი და გიორგი ჩიტაია ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესზე.

შესანიშნავი

გიორგი ჩიტაია

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში ეთნოგრაფიული მეცნიერების წინსვლა-განვითარება, ფასდაუდებელი სამუშეუშო ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება და მისი დამუშავება. მეცნიერმა ეთნოგრაფიულ მუშაობაში ჩააბა ფართო მასები და საოცარი ენთუზიაზმით უხელმძღვანელა ეთნოგრაფიული ატლასის შედგენას.


გიორგი ჩიტაიამ ნაშრომში „სვანური საკურცხილი“ ჩამოაყალიბა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების მიზნები და განსაზღვრა მისი მომავალი ამოცანები.

მეცნიერის დამსახურებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოგრაფიის კათედრისა და კაბინეტის დაარსებაც, რომელიც მანამდე მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო.

როცა შეიქმნა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, პატივცემული გიორგი დაუცხრომელი ენერგიით ჩაება მის მუშაობაში. პროფესორ გიორგი ჩიტაიას მონაწილეობითა და თაოსნობით ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიის საკითხებზე მრავალი კრებული და მონოგრაფია გამოიცა.

გიორგი ჩიტაია (ზის მარცხნიდან მეორე) და პაატა გუგუშვილი (დვას მარჯვნიდან მესამე) მეგობარ მეცნიერთა შორის.





გამულიშვილები

პაატა გუგუშვილი

გამოჩენილი სოციოლოგი, ისტორიკოსი, დემოგრაფი, ბიბლიოლოგი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და აღმზრდელი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი საბჭოთა ეკონომისტების ქართული სკოლის ორგანიზატორი და მეთაურია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბების საქმეშიც.

პაატა გუგუშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შესწავლას. ამ პრობლემებს მიუძღვნა მეცნიერმა ნაშრომების ერთ-ერთი სერია — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს“.



▶ პაატა გუგუშვილი თავის სამუშაო კაბინეტში.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია თავის მრავალათასიანი მკითხველის სახელით სიყვარულით მიესალმება სახელოვან მეცნიერებს და უსურვებს მათ კვლავაც დიდი ხნის მოღვაწეობას მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ.

▶ პაატა გუგუშვილი შინ.
მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად.



ფორა, ჩვენი ფორა!



თვარო ნადირაშვილი

1969 წლის ერთ დღიას, სა-
მსახურში მიმავალს შემხვდნენ
ფორე. მოსულიშვილის ძმები
— გიორგი და ზაქრო. ერთმა-
ნეთი მოვიკითხეთ. მათ ნაღვ-
ლიან სახეს რომ შევხედე,
უმაღ კვითხე:

— რა იყო, ბიჭებო! ხომ
მშვიდობაა?

გიორგიმ სიმწრით მომიკიდა
ხელზე ხელი და მითხრა: ფო-
რეს ამბავი მოსულა უცხო ქვე-
ყნიდან, მგონი იტალიიდან, იქ
დაღუპულაო პარტიზანულ
ბრძოლაში. ახლა სურთ მისი
ვინაობის დადგენა: ვინ იყო,
ან სად იბრძოდაო. ჰოდა, მე
და ზაქრო რედაქციაში გამოგ-
ვიძახესო.

ამის შემდეგ დღე არ გავი-
დოდა, რადიო-ტელევიზიასა და
პრესას არ გადმოეცა ფორეს
გმირული ბრძოლების შესახებ.
ეს არც მიკვირდა, არ მიკვირ-
და, რადგანაც იგი თითქოს გმი-
რობისათვის იყო გაჩენილი.

ჩვენი ერთად გატარებული
ბავშვობა გამახსენდა. მას ხომ
უზომოდ უყვარდა სიმართლე,
სამშობლო და... მეტად კეთილ-
სინდისიერი ბიჭი იყო.

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნ-
და, უფრო მეტად მომენატრ-
ნენ მისიანები. მსურდა, მათთან
ერთად გამეცოცხლებინა ფო-
რეს ბავშვობა, მაგრამ სამსახუ-
რის გამო ვერა და ვერ მოვა-
ხერხე ეს. ამიტომ მე თვითონ
ავიდე კალამი ხელში და
დავიწყე მისი ბავშვობის გან-
ხილება. უპირველეს ყოვლისა,
ფორეს დედა თებრო ძალო
გამახსენდა, 25 წლის ლოდინ-
მა ასე რომ დაღალა. მასაც,
როგორც ყველა შინაშვილს
დღეს, ფორეს გამოჩე-
ნის იმედი აცოცხლებდა.

იტალიის ელჩმა საბჭოთა
კავშირში, ფედერიკო სენსმა
ასე მიმართა ქართველ ხალხს:

„ქართველო მეგობრებო!
თქვენ უნდა ამაყობდეთ,
რომ ამ გმირს თქვენმა ქვეყ-
ნამ აწოვა ძუძუ, მისმა სახე-
ლოვანმა საგმირო საქმეებმა
ამრავლეს დიდების ის მემ-
კიდრეობა, რითაც ესოდეს
მდიდარია საქართველო“.

დაახ, ჩემო თებრო ძალო,
ეს გმირი ხომ შენ, ქართველმა
დედამ, გამოზარდე და ჩაუ-
ნერგე სიკეთე სამშობლოს
სიყვარულისა.

კარგად არის ნათქვამი:
„ადამიანმა თავის ქვეყანაში
რომ გმირობა ჩაიდინოს, ეს
ერთი გმირობაა, უცხო ქვე-

ყანაში გმირობის ჩადენა, ორ-
ჯერ გმირობაო!“

ფორე ამას გმირობისათვის
არ ჩაიდენდა... ეს მისი ჯარის-
კაცური სულისკვეთება იყო.
ის ხომ საბჭოთა მიწა-წყალ-
ზე აღმოცენდა და გაიზარდა!
ის ხომ იმ ხალხის შვილია, ვი-
საც სწამს: სიცოცხლე, სი-
მართლე და სამშობლო.

არა, არც მე მიკვირს შენი
გმირობა, ყარაღაჯლო ბიჭო,
მეამაყება კი, რომ ასე ერთია-
ნად გაუთქვი სახელი შენს
სოფელ-ქვეყანას.

ჩვენს მშობლებს მეტად
ტკბილი მეზობლობა ჰქო-
ბდათ. დედაჩემი ფორეს ძმის,
ზაქროს, ნათლია იყო, რაც
უფრო განამტკიცებდა ჩვენს
ურთიერთობას. იქნებ მეც ამ-
იტომ დამანათლეს თებრო
ძალოს სახელი. საერთოდ,
მთელ მეზობლობაში გამოირ-
ჩეოდა შარათან ნიკას ოჯახი.
რაზეც უნდა მისულიყავით
მათთან, შეძლებისდაგვარად
კმაყოფილს გამოგისტუმრებ-
დნენ. მეტად კეთილი ხალ-
ხიანო, მშრომელი და პატიოსა-
ნი, იტყოდნენ მათზე. მიუხე-
დავად მრავალშვილიანობისა,
ნიკა ძია თავისი მუყაითი
შრომითა და გარჯით საშუა-
ლო გლეხის კვალობაზე რი-
გიანად ცხოვრობდა. მას ვერა-
ვინ ასწრებდა ხვანათსვას
თუ მკაში გასვლას.

ნიკა ძიას ექვსი შვილი
ჰყავდა: მარუსა, ელო, გიორ-
გი, ფორე, ზაქრო და ვასილი.

გაზაფხულდებოდა თუ არა,
ვტოვებდით მშობლიურ სო-
ფელს — ქვემო მაჩხანს და,
სადაც ე. წ. მამული, კალო და
ვენახი გვქონდა, იქ მივეშუ-
რებოდით. ჩვენი მამა-პაპანი
ძირითადად მესაქონლეობას
მისდევდნენ და ზამთარ-ზაფ-
ხულს იქ ცხოვრობდნენ. შინ
მხოლოდ მაშინ მოვიდოდნენ,
როცა სახალხო დღესასწაუ-
ლის დღეები დგებოდა. მეზო-
ბლები ერთიმეორეს ეშველე-
ბოდნენ: ჩაიბარებდნენ ბინას,
საქონელს და კეთილსინდისი-
ერადაც მეთვალყურეობდნენ.

ამგვარი საგაზაფხულო გამ-
გზავრება სოფლიდან ხშირად
ჩვენ და მოსულიშვილების
ოჯახს ერთად გვიხდებოდა.

მამები რომ გამგზავრების
თადარიგს დაიჭერდნენ, ჩვენ,
ბავშვები, მეშველე ცას ვეწე-
ოდით ხოლმე, აბა, ჩვენს სი-
ხარულს რაღა შეეძრებოდა.
გზაშიც ხომ ათას რამეს შევ-

ხვდებოდით, რაც ბედნიერე-
ბას გვანიჭებდა ერთიანად,
დიდსაც და პატარასაც.

იმ გაზაფხულსაც ერთად
მოგვიხდა ჩვენ და მოსული-
შვილებს გამგზავრება. ღამით
მოსვენება დავკარგე, ვნატრო-
ბდი, როდის გამალვძებდნებ.

დადგა ეს ნანატრი წუთიც,
ლილით აღრე გამლვძიეს,
თბილად ჩამაცვეს, დედასთან
ერთად ურემზე დამსვენეს და
გზას გავუდექით... ფორეს
სახლს რომ მივეუახლოვდით, ნი-
კა ძია დაპირებისამებრ გზა-
ში დაგვიხვდა თავისი ჯალა-
ბით. ერთიმეორე მოიკითხეს,
მერე მამაჩემიცა და ნიკა
ძიაც ურემების კოფოებზე შე-
მოსხდნენ. ურემები დაიძრხეს
თუ არა, სახე გავგებრწყობდა,
ყელას სიხარული ჩაგვიდგა
გულეებში. ისეთი ხმაური ავ-
ტუნებთ, რომ მამლების ყვი-
ლი დაფარეთ... თითქოს ყვე-
ლანი და ყველაფერი მხიარუ-
ლად გვაცილებდნენ მაჩხან-
დან.

სოფელს მალე გავცდით.
ტიბანის აღმართს რომ მივა-
დექით, ხევში, სადაც წისქვი-
ლებია, მეწისქვილემ მამაჩე-
მიხა და ნიკა ძიას ხმა გაიგო-
ნა, წისქვილიდან სწრაფად
გამოვიდა და შესძახა:

— ბიჭებო, თქვენ კი გენა-
ცვალებით, თქვენა!

იმავე წუთს შეაჩერეს ურემ-
ები. ნიკა ძიამ თებრო ძალოს
არაყი მოსთხოვა. მანაც ხურ-
ჩინიდან ბოთლი ამოიღო და
ნიკა ძიას მიაწოდა. მამაჩემ-
მაც გამოხსნა ხურჩინის თვა-
ლი, შოთი პურები და გულის
ყველის ნაჭერი ამოიღო და
სწრაფად ჩაირბინეს მეწისქვი-
ლესთან.

მეწისქვილის დანახვაზე
ჩვენ სიცილი ავტუნებთ, ისე
იყო ფქვილში ამოგანგლუ-
ლი, რომ ველარ გაარჩევდით,
რომელ ასაკს ეკუთვნოდა, ახ

რა ფერის ტანისამოსი ეცვა-
უფრო მეტად იმან გაგვახალი-
სა, რომ თვალები და წამწამე-
ბი, თითქოს ერთმანეთს შეწე-
ბებიანო, აღარც კი მოუჩანდა.
ის რალაცას ოხუნჯობდა, ჩვე-
ნებიც იცინოდნენ.

გიორგიმ რალაც გაიხსენა
და ფორეს უთხრა:

— გასოვს, შარშან ამ შე-
წისქვილემ მამაჩემთან ნესვი
რომ გამოგატანაო. — ფორემ
ჩაიცინა, თებრო ძალომ და
დედაჩემმა გადაიხარხარეს.


— ღიღი მავნე ვინმეა, ჭა...
ეგ სასიკვდილე, ეგა, — თქვა
თებრო ძალომ და გაიხსენა,
— შარშან რთვლიდან რომ
მოვდიოდით, სწორედ ამ აღ-
გილზე შევჩერდით. ფორემ
ყურძენი და ჩხები ჩაუტანა.
იმას კიდეც ერთი უშველგუ-
ლი ნესვი გამოეტანებინა
ჩვენს კაცთან და დაებარებინა,
ეს მამაშენს მთავარი უხვი
და კარგი შემოდგომის ნიშან-
ლო, რამდენი ხანია ვუნახავ
და ვერსად შეგხვდითო. რო-
გორც კი დავენახე ნესვი, იმ
წუთში მივხვდი და ვუთხარი,
უი, შენ კი დაგიდგეს ეგ თვა-
ლები-მეთქი, ე, რა უქნია, ჭა,
იცის, რომ ჩვენს კაცს ნესვი
ძალიან სძულს, სუნს ვერ
იტანს, ვენახში, სადაც ნესვი
გვითესია, იქითკენ არც კი მი-
ინებდავს-მეთქი.

ყველანი ვიცინით. ფორეს
ელიმება. გიორგი ახელეებს
ფორეს:

— ჩადი, ბიძაშენს შენთ-
ვის კურდღელი დაუჭერია და
ამოიყვანე.

ფორემ მშვიდად მიუგო:
— ბიჭო, ის კურდღელი ბა-
ყაყების ყიყინს გაუბეზრებია
და წუხელ გაჰქცევიაო.

მხიარულები დაბრუნდნენ
მამაჩემიცა და ნიკა ძიაც.
ჩვენც მეტი ხალისი მოგვცა.
გვახარებდა ირგვლივ ყველა-
ფერი. ეს მადლიანი გაზაფხუ-



18205

ლი, ასე ერთიანად რომ გავ-
ლდებინა ბუნებას. ირგვლივ
ყვოდნენ შინდები, ტყემლები,
ხუშები, ალუბლები. თეთრ
ფატაში გამოწყობილ პატარ-
ბაღს დამსგავსებოდა პირასალ-
მართის მიდამო.

ტიბაანს გავედით. ძველი
ანაგის გზას რომ დავადექით,
ნიკა ძიამ ურმული წამოიწყა:
„გასწიე ხარო, გასწიე, საცაა
გათენდებაო“. მამაჩემიც აჰყ-
ვა, როცა გზიდან სოფელს ჩა-
მოვშორდით, ერთბაშად ყვე-
ლამ მოვიწყინეთ. რადგანაც
ადამიანების ხმაურ-ფუსფუსი
ერთბაშად შეწყდა. მე და
ელომ ჩავთვლიდით.

უცებ ხმაურმა გამომადვიდა.
ფეხდაფეხ წინ მიმავალ
ჩვენს ბიჭებს საშოვარზე გა-
მოსული მელა შემოაპყროდათ.
ფორე ქვით გამოსდევნებია და
ფეხი მოურტყამს, მაგრამ მე-
ლას ტყისთვის შეუფარებია
თავი. მათ რომ მივუახლოვ-
დით, გვაბრაზებდნენ, ძილის-
გულდებო, ჩვენ მელია ვნახეთო.
მე გული დამწყდა, რომ მელია
ახლოდან ვერ ვნახე.

მიმინოს ბიჭის ფარდულს
კარგად გავცდით, როცა ნიკა
ძიამ მამაჩემს გამოსძახა:

— ნათლიაჩემო, არ შევას-
ვენოთ? ამ ქედნაკურთხეებს
მოშვიდათ, დაილაღნენ, ფერ-
ღები ჩაუტვივდათ. ჩვენც მო-
გვიხდებდა დასვენება, ბავშვ-
ბსაც მოშვიდათ.

მამაჩემმა იმავე წუთს გზი-
დან ურემი გადააყენა და აპე-
ურები გამოხსნა ხარებს.

ნიკა ძიამაც გააჩერა ურები.
ფორე მივარდა და ხელად
გამოხსნა აპურები. ხარები
სწრაფად გაიშალნენ და ჯაგე-
ბის ძირებში ლალად ამოზრ-
დილ ბალახს ხარბად დაუწყეს
ძოვა.

ჩვენც ჩამოვედით ურმიდან
და სატაცურსა და მკაუნას
დავუწყეთ ძებნა. შორს წასე-
ლა არ დაგვჭირდა. ამასობა-
ში გიორგი და ფორე გზის
მეორე მხარეს გადავიდნენ,
ნაბინავარში, და სიკოს კრე-
ფას შეუდგნენ. მალე მე და
ელოც იქით გავიქეციით. დავი-
ნახეთ რომ უცებ ფორემ ფარა-
ჯა აიკვალთა და რაღაცას თავ-
გამეჭრებთ გამოედევნა. მე და
ელომ ხმაურით ავტყენეთ. გიო-
რგიმ არაფერად ჩათვალა, ის
სწრაფად კრეფდა სიკოს და
ჩვენც გვთხოვდა დახმარებას.

მალე ჩვენთან მამაჩემი და
ნიკა ძიაც მოვიდნენ. ფორეს
რომ თვალი ვერ მოკრა, ნიკა
ძიამ თქვა, ვაითუ კურდღელ-
მა ან ცბიერმა მელამ ბუჩქებ-
ში შეიტყუაო. მერე მამაჩემს
უთხრა:

— რა ვქნა, ნიკავ! რა ვუყო
ამ ბიჭს? ყველაზე მეტად სამ-
წყემსო ესა მყავს. დაუზოგა-
ვად გადაეშვება ადილებულ

მდინარეში, ანთებულ ცეცხლ-
ში. თავს არ დაზოგავს, ნამე-
ტანი უშიშარია, ეგ მაფიქ-
რებს.

რა უშავს, ნათლიამ უში-
შარია და თანაც ძალიან და-
ფიქრებული ბიჭია. აი, სწო-
რედ ასეთები სჭირდება დღეს
ჩვენს ქვეყანას — აბა, ლაჩა-
რი და მხდალი ვის რად უნდა?

ამ დროს ფორემ ჩვენ გვე-
რდით უჩუმრად ჩაიარა, თვა-
ლები დაგვიბრიცა და გვითხ-
რა:

— მძინარებო, მძინარებო,
აქ არსად ჩაგეძინოთ და ჯა-
გებში არ დაგვრჩეთ. წამო-
დით ურმებთან. ჩვენც ეხა
გამოვყავით. ის გიორგისთახ
ძვიდა, ფარაჯის კალთა სო-
კოთი გაეფსო, ვედროში ჩას-
ცალა. მამაჩემმა და ნიკა ძიამ
ჩაიცივნეს. მალე დედაჩემმა
და თებრო ძალომ დაგვიძა-
ხეს:

— მოდით, უნდა ვისადი-
ლოთო!

ყველანი ურმებთან მივე-
დით. ჩრდილში ტაბლა გაე-
შალათ. ბიჭები სინარულით
შემოუხსდნენ, მე და ელო
კი ფეხზე ვიდექით და მად-
რიანად შევექცეოდით შოთ
პურს, გუდის ყველს, ქათმის
ხორცს... თან ტაბლას ცალ
ფეხზე ხტუნვით გარშემო
ვუვლიდით.

ნიკა ძიამ ტიკტორას მოხს-
ნა, ყანწი ღვინით გაავსო და
დაილოცა, ამ მშვენიერ გაზა-
ფხულის მადლსა და ძალას
გაუმარჯოსო, ასე გვახაროს,
უკლებლივ ჩავსულიყავით
მარადეამს ჩვენს კალოზეო.

— ნათლია ჩემო! ამ ახალ
ღროებასაც გაუმარჯოს, რომე-
ლიც დიდ სიკეთეს გვპირდე-
ბა. აბა, ეს რად ღირს, რომ
ასე უშიშრად მივდივართ
ჩვენს მიწა-წყალზე?! ან ეს
რად ღირს, უფასო სწავლას
რომ ჰპირდებიან ჩვენს შვი-
ლებს?

ყანწი მამაჩემს გადასცა.
ნიკა ძია თავის სიცოცხლეში
ერთ წვეთ ღვინოს არ სვამს,
მაგრამ ისეთი მოღვინა იცის,
რომ კარგ მესუფრეს — თამა-
დას შეშურდებო, — ამბობდ-
ნენ მასზე.

მამაჩემმაც კეთილი მეზავ-
რობა ისურვა და თან გულ-
დაწყვეტით გაიხსენა თავისი
ბავშვობა. სწავლა მეც ძლიერ
მინდოდა ჩემს ბალღობაში.
ტუკუშოის ბიჭი იყო ჩვენი
„უჩიტელი“. მის ბიჭს ხელში
მათრახი ეჭირა და ვისაც მოი-
სურებდა გვირტყამდა. ჩვენც
მამამისის შიშითა და კრძალ-
ვით ვერას ვუბედავდით. ერთ-
ხელ, როცა მეც დამაცხრა და
დამიწყო მათრახით ცემა, გა-
მოვგლიჯე ხელიდან მათრახი
და მივაყოლე და მივაყოლე.
მეც კარგად ავუწვი ზურგი,

ღრიალი რომ მორთო, მამამი-
სი გამოვარდა: მე ადგილიდახ
არ დავიძარი, დედაჩემი დაი-
ბარა და სკოლიდან გამრი-
ცხეს. ასე დამჩაგრეს იმ მამა-
ძაღლის გულისათვის, — დავრ-
ჩი უსწავლელი.

— ოჰ, რა კარგად გიქნია,
ნიკა ნათლი. შენ კი გეხაცვა-
ლე, ღირსი ყოფილა, — მიუ-
გო ფორემ.

ეჰ, შვილო, ის კი იყო ღირ-
სი, მაგრამ მე? ასე, ჩემო
შვილებო, თქვენი გზა ხსნი-
ლია. ვერავინ დაგჩაგრავთ.
ნასწავლი კაცი ორჯერ კაცია
და, აბა, თქვენ იცით. სწავ-
ლის ფასი ქვეყნად არა არის
რა. სიტყვის ძალაც მეტი
გაქვთ და მისი გაგებაც. ნათ-
ლიმამ! ვინც ამ სწავლისაკენ
მოუწოდებს ჩვენს შვილებს,
აი იმათ გაუმარჯოს. — ყახ-
წი დაცალა და ნიკა ძიას გა-
დაულოცა. ახლა ამ ახალგა-
თავისუფლებული მიწა-წყლის
სადღეგრძელო თქვეს. იმ
დღით, მართლაც, ყველა-
ფერი ხარობდა — სიცოც-
ხლე ზეიმობდა. ყველაფერს
გადასდებოდა ეს მხიარულება,
ასე გულუხვად რომ მიერთმია
გაზაფხულს დედამიწის ბინა-
დართათვის, უფრო მეტად ხა-
რობდა ადამიანის გული, შე-
ხარობდა მომავალს. ტყე და
მისი ბინადარნიც ხარობდნენ
— მიწაც გვეძახოდა, თავის-
თან გვიხმობდა და გვეუბნე-
ბოდა:

— აბა, — მომთარე, მომხე-
დე და მიიღე ჩემგანაც, ოღონდ
განძირე ხელი, ქიზიყელო
გლებო, და მე არ დავრჩები
შენს ვალში. მე ვიცი შეხი
შრომის დაფასება. ნუ შეში-
ნდები, თუ ხანდახან გვალვა
გვძლევს — შიში ვერ იხსნის
სიკვდილსაო. აბა, დაუშალე
ობობას ქსელი, ის ხელახლად
გააბამს, ან ჩიტს მოუშალე
ბუდე — ისიც ადგება და
სხვაგან გადაინაცვლებს, რომ
სიცოცხლე არ ჩაკლას, რომ
სიცოცხლე გაგრძელდეს.

მალე გზა განვაგრძეთ.

ყოჩანთ კალოსთან რომ
მივედით, ნიკა ძიამ ურემი
გააჩერა, გოგონები ჩამოვიდ-
ნენ, სახლისაკენ მოკურცხლეს.
მალე მეც დავედევნე მათ.

ფორე, გიორგი და ზაქრო კა-
რგა ხნის მისულები იყვნენ.
ჩვენც მივედით, მე ჩვენი ქო-
ხისაკენ გავწიე. ხრიხალი აყ-
რილი დამიხვდა. დავეჭიდე,
ადვილდანი რომ ვერ დავძარი,
დავლონდი. არ ვიცი, საიდახ
გაიგო მურამ ჩემი ჩამოსვლა.
მოვარდა ჩემთან და ფეხზე
დამყნოსა, ახლა კუდისქვევით
ვარს შემომიარა, კაბის კალ-
თაზე ჩამომეკიდა, მერე ხრი-

ხალზე შეხტა, თავი ზედ და-
ლო და გაატარ-გამოატარა,
შევატყვე, გულით სურდა ჩე-
მი მოშველება. მაგრამ ჩი-
ვნი უძლურებმა აღმოგჩადათ
ამ დროს ფორეს აივნიდან სი-
ცილი დამაყარეს. ის იყო,
უნდა ავტირებულყავი, რომ
მარუხამ ფორეს სთხოვა, წა-
დი, მიეშველეო.

ფორეც და ელოც სწრაფად
მოცვივდნენ ჩემთან. ფორემ
ბუმბულივით აიტაცა ეს მუხის
ხარისხა, ჩვენში ხრიხალს რომ
ეძახიან, და იქვე დაგდო.
ყველანი ერთად შევცვივდით
ეზოში. იქვე ჩვენმა ძროხებმა
ძოვა შეწყვიტეს და ყურება
დაგვიწყეს. ყველაზე მეტად
მე მიყურებდნენ. ნახუქა ჩემ-
კენ წამოვიდა, თითქოს მოძე-
სალმამო: ერთი შეშუშვლა და
უქანვე გაბრუნდა. გავიფიქრე,
რომ მიცნო. მინდოდა, მივ-
სულიყავი და ყველანი სათი-
თოოდ გადამეკოცნა.

ქოხს მივაშურეთ. ქოხის
კარი დაკეტული დავგვხვდა. ვი-
ცოდი, გასაღები სად იყო.
ფორეს ვთხოვე, ქოხის კარი
გამიღე-მეთქი. მან უარი მით-
ხრა, რად გინდა ასე აღრეო.
აი, მოვლენ ნათლიები, დაიც-
დე, მანამდე ჩვენ არ გავალე-
ბთო.

მეწყინა: რად გინდაო, რომ
მითხრა. მე გაჯავრებულმა ძი-
ვუბე: დიახაც მინდა-მეთქი.
მან შემომიბღვირა. ვაჩერდი,
რა მექნა: მინდოდა, გაძელო
კარი, შემეხედა ჩვენი დედა-
ბოძისათვის, ზედ ჩამოკიდე-
ბული საცერისათვის. მინდო-
და, შემეხედა ჩვენი მაწვნის
ქილებისათვის. დედაჩემი მათ
სათითოდ გარეცხავდა, და-
ქათქათებდა და ზომის მიხედ-
ვით ჩამოარიგებდა თაროზე.
ისინი მეტადრე მაშინ მიყვარ-
და, როცა შენელებულ რძეს
ქვაბში სადედეს შეურევდა,
მერე კი ამ ქილებში ჩაასხამ-
და, შეუფუთავდა ჩასადედე-
ლად. მასხოვს, ერთხელ მე
დამავადა მისი ჩადედევა, არ
ვიცი, სადედე თუ დამავიწყ-
და, არც ერთი არ ჩადედა.
დედამეჩემმა მკითხა: თუ თქვი
ასე, ჩვენი წველა ტალივითა—
ყოჩანთი წყალივითაო!

— არა-მეთქი.

— აი, ამიტომაც არ ჩადე-
ლებულა, ეს რომ არ გითქვა-
მსო...

რა მექნა, მინდოდა იმ სად-
ლობელის ნახვა, ქოხის შუა
კოჭზე რომ ჩამოგვიდებდით.
მერე ამ მაწონს შიგ ჩავასხამ-
დით, ერთ მხარეს დედაჩემი
დაუდებოდა, მეორე მხარეს
მე დამაყენებდა. ასე ვაქანავე-
ბდით, სანამ კარაქს არ მოი-
გლებდა. მერე დედა მას ხე-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ლით ერთად მოაგროვებდა, დააგუნდავებდა, კარაქს თიხის ჯამებში გადმოიღებდა, ცივ წყალს დაასხამდა და თაროზე შემოდგამდა. დოს კი დოლბანდში გავწურავდით, მის დალევისა და ლავაშთან შიტანებას სიცხე-პაპახაქებაში არაფერი ჯობდა. დედაჩემი მისგან გემრიელ შეჭამანდსაც ამზადებდა.

ფორემ არა და არ გამიღო ქოხის კარი. მან კიბე შორბენინა და სწრაფად ავარდა ჩვენს ფარულზე. ჩვენც ავეყვიით. იქიდან მთელი ყარაღაჯი მოჩანდა. ფორემ იმ წუთს კავკასიონის მთებს გახედა და თქვა:

— აგერ ჩემი ამირანი, ისევ ისე ამაყად როგორ დგას, ქვეყანას როგორ გადმოჰყურებს. ის იცავს მტრისაგან ჩვენს ქვეყანას.

ის ისე იჩემებდა ყველაზე მაღალ მთას, რომ შეცილებას ვერავინ ვბედავდით...

მეტად ლამაზი და მიმზიდველი იყო აქედან ყარაღაჯი, სამხრეთი მხრიდან, იქ, სადაც ციხეა (ხორნაბუჯის ციხედ წოდებული) მთაგორებს ტყე შემოჰკვრია. იმ გორებს დღესაც თამარის გორებს ვუწოდებთ. სამი მათგანი შორიდან აღამიანის სკულბტურული გამოსახულება გვეგონებათ, ფრესკებზე რომ გინახავთ, აი ისეთები. აბჯარში გამოწყობილ მეომარ მეფეებს მოგვაგონებენ. დიდ ხანს გვეგონა, რომ ისინი გვიცავდნენ მტრისაგან...

აღმოსავლეთით ვხედავდით ერთ მეტად საინტერესო „ფათრეთს“, რომელსაც დიდი რუსი „ღენერალის ფათრეთს“ ეძახოდა ხალხი. მას ძლიერ მოწიწებით იხსენიებდნენ. გავყურებდით და გვსურდა მისი ახლოდან ნახვა, მაგრამ არ გვიშვებდნენ. ფორეს კი, აბა, რა დაუდგებოდა წინ! ხშირად ჩაუვლიდა მას და უკვირდა თურმე: აქ, ჩვენთან, ყარაღაჯში, რა უნდოდა რუს „ღენერალს, ან მის ფათრეთს“. ეს ჩვენშიც ძლიერ დიდ ხანს იწვევდა ინტერესს, მანამდე, სანამ მის შესახებ ჩვენმა თანამემამულემ იოსებ მენთეშაშვილმა არ გვითხრა. მაშინ, როცა ის ერთ ზაფხულს ნიკა ძიასთან მოვიდა და სთხოვა, ენახებინა ქვა, სადაც ლერმონტოვის ძეგლი იდგა და თავისი წარწერაც ჰქონდა, ნიკა ძიამ კიბის ქვეშიდან ის ქვა გამოა-

გორა და იოსებმაც წითელწყაროში, თავის სახლში მოწყობილ მუზეუმში წაიღო. მახ გვიამბო, რომ აქ, ყარაღაჯში ამ ადგილას იდგა „დრაგუნთა პოლი“, სადაც დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვი მსახურობდა. ამან ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ, მერე კი ჩვენთვისაც გასაგები გახდა ყველაფერი. ეს ყველაფერი ბავშვობაში მითებად მიგვაჩნდა.

ერთ დღეს დედაჩემისა და თებრო ძალოს მეთაურობით მთელი სოფლის ქალი და კაცი ზევითა ტყეში წავიდა შინდის მოსაკრეფად. მათ ფორეცა და გიორგიც გაჰყვებნენ. იქიდან რომ დაბრუნდნენ, ფორემ გვიამბო, რაც იქ თავისი თვალთ ნახა: თამარის ციხის მოშორებით ტბა, სადაც თურმე თამარ მეფეს იხვი, ბატი და უამრავი თევზიც ჰყოლია მომრავლებული. იქვე დავლიეთ ცივი და გემრიელი წყალი — თამარის წყალიო. ყველაზე მეტად ფორე მანაც მოხიბლული იყო ნადირთა და ფრინველთა სიუხვით. ვნახეთო: ხოხობი, კაკაბი, ოფოფი, ორბი, ტურა, მგელი, მელია, უფრო ღრმად რომ შევსულიყავით ალბათ მურა დათვსაც ვნახავდითო.

მე მახსოვს, როგორი მხიარული დაბრუნდნენ ისინი. შინდით, ზღმარტლითა და პანტით სავსე ხურჯინები და კალათები ჩამოიტანეს. ფორეს და გიორგის კაკლის საბერტყი ჯობები ეჭირათ და სიხარულით მოდიოდნენ. წინათ აქ ვინ გაივლიდა შიშით.

ნიკა ძია თავის შვილებთან ერთად კოლმეურნეობაში მუშაობდა. ფორე პირველი ტრაქტორის გამოჩენას დიდი სიხარულით შეხვდა, მაგრამ თავისი საყვარელი ხარ-ურემი ირჩია, მათ არ ტოვებდა. ეს იცოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და არც ის აძალებდა სხვა საქმეს.

ალანის არხის გაყვანაზე კოლმეურნეები დაულაღავად მუშაობდნენ, ფორეც იქიდან გვიან ღამით ბრუნდებოდა მამასთან ერთად მოღლილ-მოქანცული. ის მთელ დღეს დაუზარებლად ტრიალებდა: ხან ცივ წყალს ეზიდებოდა ურმით კოლმეურნეობისათვის, ხან — თივას, ხან არხსა სჭრიდა. ცხოვრება თანდათან თავის კალაპოტში დგებოდა.

(დასასრული მორიგ ნომერში)

ნორჩი ნაზის მოძუენი

ეროვნული
გინჯლოცობა



ქალაქ თბილისის 53-ე სკოლას, რომელსაც წლების მანძილზე შესანიშნავად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი **ლამარა მარგველაშვილი**, სახელოვანი პედაგოგიური კოლექტივი ჰყავს.

ცნობილმა ფოტოჟურნალისტმა **გენადი სანაიამ** სკოლაში სამი მომენტი გადაიღო:

1. **ლამარა მარგველაშვილი** (მარცხნიდან) რვა მარტს ულოცავს თავის კოლეგებს — დირექტორის მოადგილეს **ჯულიეტა არახაშიას**, პარტბიუროს მდივანს **ლია პაპუნაშვილს** და პროფკომის თავმჯდომარეს **ქეთევან ჩაჩანიძეს**.
2. მათემატიკის გაკვეთილს ატარებს ღვაწლმოსილი მასწავლებელი **ეთერ სიმონია**.
3. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი **თამარ ბურჯანაძე** გაკვეთილზე.



არწივები

კლდეებს შეხიზნებია,
სიყვარულით ნაშენი
ბუდე, სადაც მთებია
ლურჯი ცის დამამშვენნი.

და ამ ბუდეს ამძიმებს
მართვეების რიალი.
გვესმით, ბებერ არწივებს,
მათი ფრთების შრიალი?

სივრცეს შეაჟრიალებს
თქვენი ფრთების გაშლანი...
სად მზის ბურთი ბზრიალებს,
ელავს შუქი მაშხალის,

მზისკენ გაიზიდებით
თვალეზნაპერწყლიანი.
მაგ შევილებით იზრდებით,
ზეცის ზარის წკრიალით.

უპატრონეთ მართვეებს,
ლაღად ფრენა ასწავლეთ.
ფრთებს როცა გამართავენ,
ბუდეც ცაში ასწვენ.

ღრუბლებს შეხიზნებია,
სიყვარულით ნაშენი
ბუდე, სადაც მთებია
ლურჯი ცის დამამშვენნი.

მტკვარი მცხეთასთან

თვალს ვერ ვაშორებ
მტკვრის ნაპირებზე
ქვებსა და ლოდებს,
აქ თითო ლოდი ვილაცას
ვგავს,

რაღაცის მოდელს.
რა ძალას უნდა ვარღვექმნა,
ანდა რა ღონეს,
რამდენჯერ უნდა მოსულიყო

წყალი ამ ქვასთან,
მაღალ, პირქუშყვირმალებიან
კაცს რომ მაგონებს.
ეს კლდე რაღაა,

ნაოჭები რომ აუყრია
ისე, ვით კაბას,
დაუღვევრად რომ მიაგდებენ...
თვალს ვერ ვაშორებ

მტკვრის ნაპირზე
ქვებსა და ლოდებს.

რე სევდიანია დილა

რა სევდიანია დილა,
რა ნისლიანი დღე...
დღეს აქ ტრიალებ შენ და
ველარ ვისვენებ მე.

ო, ჩემი ნისლი შენ ხარ
და ჩემი გულის სევდა.
მე მხოლოდ ერთი მიკვირს,
ეს რატომ ხდება, ნეტავ?
რაც ახლოსა ხარ, მიჭირს,
რაც უფრო შორს ხარ...
მხნელ ვარ.

გოგონა იდგა

მზე პირს იბანდა...
ზაფხულის დილას
ყველა გარბოდა,
ემალეზოდა შხაპუნა წვიმას.

და ამ წვიმაში,
მინდვრის ნაპირას
გოგონა იდგა.
ის არ გარბოდა,
მისთვის არ წვიმდა...

ის იყო წვიმის
წვეთივით წმინდა.
მძივად მკვიდა
წვეთები ყელზე...

გოგონა იდგა
წვიმაში ველზე.

გაზაფხული

მოვიდა მარტი და გაზაფხული
ალარ ინდომა ერთფეროვანი,
ქველი სამოსი.

კეთილშობილი ქალიშვილის
ნატიფი ხელით
მოქარგა იგი,
ქოლოსფერი თავმომწონე

ყოჩივარდებით,
სურნელოვანი ლურჯი იეზით,
თეთრი, ფუმფულა ტყემლის
ხეებით,

ნაწვიმარ ცაზე მოცურავე
ღრუბლებს რომ გვანან.
ასეთი ნაზი და ახალგაზრდა
ქველი ტანსაცმლით
ხომ ვერ ივლიდა...

ისევ განვიმდა

ისევ განვიმდა ამ საღამოს და
ჩემს გულშიც ისევ წვიმს,
და სულიც ისევ აფორიაქდა...
მე კი დავწყნარდი ძლივს.

ო, წვიმავ, წვიმავ,
ნუ შემამოფოთებ
და ნუ გამიტენ ძილს!..

ნაზი ხელაია

ისევ ვეპრფი და ვეთაყვანავი

უშენო ფიქრს და ოცნებას ცივა
და აკანკალებს ქარები ღამის,
მე საიდუმლო ტაძარში მივალ,
საზღვრად რომ უდგას ქვიტირს თუ
ღანირს!

გავხედავ ამაყ, ნისლიან თურჩუს,
ვილოცებ ცრემლით და მოგონებით.
კვლავ გამოვუხმობ შენს ბავშვურ
ჩურჩულს:
„ო, რანაირი ხარტ გოგონები!“

დავთმობ, გავწირავ მთროლოვარე შუქით
იისფერ ზღვაში ჩაძირულ ტაძარს,
შენი იმედით ვბრუნდები, თუკი
ამინთებ ჩამქრალ სურვილს და ხანძარს!

მე სადღეგრძელო მომწყურდა ძლიერ
აბიზინებულ ზერების, ყანების,
შენს ამაყ სახეს და ამაყ იერს,
ისევ ვეპრფი და ვეთაყვანები...

თქალა ქიქავა

რაც ბინატრია

ქალბატონ ფიქრია

ასე მღუმარე და მოწყენილი
თვალეზი არსად არ შემხვედრია.
როგორც ჩანს, ფიქრთა უსაზღვროება
მხოლოდ გულთბილი ქალის ხვედრია.
არ უღონენია, არ უციხნია,
არ შემქრთალა და არ უვედრია.
უფიქრია და არ უძინია
თვალეზს, მგლის თვალეზს სველს და
სევდიანს.

მოგონებები, მოგონებები,
ტკივილითა და სევდით მიჭრია.
აგსრულდებოდეს რაც გინატრია,
გვეროდეს მუდამ, რაც გიფიქრია.

ქეთაყვან მოსაუბილი

მოსულა მარტი

ალარ ვიდარდებ, თვალი მშრალია,
შორიდან მესმის სიმღერა მაყრის.
მოლოდინის გზა ფიქრმა გალია.
თურმე, ნუ იტყვი, მოსულა მარტი.

ალარ მაწვალებს ფიქრთა კრებულს,
ჩემი ბავშვობა ქარივით დაქრის.
მე ხომ მარტში ვარ დაბადებული
და მარტის სიო ყვავილებს მაყრის.

მაგრამ მე სულ სხვა მახსოვს იეზი,
ვილაც მორბოდა ნაბიჯით ჩქარით.
წავიდა ქაში ჩუმ პატიების
და ჩემ თეთრ კაბას არ წეწავს ქარი.

რა ვქნა, ჩემ ფერად გაზაფხულს ვნატრობ,
იქ მეგულები ჯადოსნურ ქნარით.
ცრემლიან სიცილს ცა უმზერს მარტო.
თურმე, მარტივით ყოფილა ქალიც.

ზიზი ბალახაძე

ვარსკვლავნი ცაზე ბელურებივით
შეყუჟულები სხედან და თრთიან,
მთვარე — მთის თავზე მდგარი ირემი,
დგას, იმზირება და სულერთია,

საით განაგრძობს გზას უსასრულოდ,
ცას დასავალიც არსად არ უჩანს.
გამთენიისას ღრუბელთა ტოტი
ცაზე ყვავილობს, როგორც ალუჩა:

ანა რაჰაზიზილი

ოგონი ნასული ოცი წლის ბიჭი

კომბისა და გომგონის მირზა
გელკოვანის ხსოვნას

ო, რა სევდას მგვრის და გულს მისერავს
შენი ეზო და შენი სახლ-ქარი,
იქ, სადაც დღემდის ცოცხლობდა დედა
და გიზგიზებდა ხსოვნის ღამპარი.

იქ, სადაც, დღემდის ცოცხლობდა დედა
შენი ლოდინით, დაღლილ დღეებით...
გამორჩნდებოდა შავი მანდილით,
სანთელს გინთებდა წმინდა ხელებით.

სადაც დატოვე შენი ბავშვობა,
მოუსვენარი ტკბილი დღეები,
სადაც მდუმარედ დგანან, გელიან,
შენი დარგული ალვის ხეები.

შენ გახსოვს დედა პირმოციხარი,
ალერსიანი მართალი ფიცით,
მას კი ახსოვდა აბჯარასხმული,
ომში წასული ოცი წლის ბიჭი.

ო, რა სევდას მგვრის და გულს მისერავს
(მე ახლა ამის დაწერაც მიჭირს)...
თმებდათოვლილი დედის დაკარგვა,
არ დაბრუნება ოცი წლის ბიჭის.

თამარ სოჭოლავა

უშენოგის პირველი თოვლი

ო, დღეს უშენოდ მოვიდა თოვლი,

ათოვს ყველაფერს...
...ყველაფერი ირგვლივ მღუმარებს.
არ ათოვს მხოლოდ ხსოვნას შენსას,
ჩემგან ასე სათუთად მოვილილს...

ო, დღეს უშენოდ მოვიდა თოვლი!



ჩვენს ქვეყანაში...

თენგიზ გოგოლაძე

კრიტიკა

მატყარი თენგიზ სამსონაძე.

ურემი რომ გადაბრუნდება. გზა მერე გამოჩნდება. ეს ანდაზა ზედგამოჭრილი იყო იმ ამბავზე, რაც ბაბაღე ლაბაურის ხბოს შეემთხვა...

ბაბაღეს ხბო კი ლამის დაიხრჩო არხში, სოფელ მუხიანს ქვემოთ რომ ჩაუღის ხოდაბუნებსა და ბალ-ვენახებს. არხში წყალი მდოვრედ მიედინებოდა. მაგრამ კალაპოტი ღრმა და საშიში ჰქონდა.

ხბო ბიჭებმა გადაარჩინეს, ბედად შეესწრნენ.

ყველას ასე ხომ არ გაუღიმებდა ბედი! ერთხელაც იქნებოდა, კიდევ სხვასაც ჩაუტყურებოდა ფეხი და მოგჭამა ჭირი!

ყველა-ყველა, მაგრამ ჭინკა ბიჭები ვერ დააშინეს, მაინც დამაინც არხში ეწადათ ბანაობა.

მიგდებული როდი იყო არხი. პატრონიც ბევრი ყავდა — მელიატორები, მერუები... მაგრამ მათ თავიანთი საქმე ებარათ, საქონლისა და ბიჭბუჭების დევნას კი არ მოჰყვებოდნენ, ვერც ვერაფერს წაფარებდნენ არხსა და რუს, სიფრთხილეს სხვას უნდა გამოეჩინა...

ჰოდა, როგორც იყო, სოფლის ხელმძღვანელობამ მოისაზრა და არხის მეთვალყურე გამოძებნა. ზედმეტ შტატს არავინ დაუშვებდა, შეთავსებით კი მეველე ვანო ლალიაშვილს შეუთავსეს, შენზე უკეთესს ვერავის მოვძებნით, ველ-მინდვრები, ბალ-ვენახები შენ გაბარია და ბარემ არხსაც მიხედო.

მეცარი ვინმე გახლდათ ვანო ლალიაშვილი, ერთი ღრიალა, ყვიამყარი ენის პატრონი. ქვაოქვა არი და ესეც ქვა არიო, — ვანოზე ამბობდნენ სოფელში. პატარობიდანვე გამოჰყვა ზედმეტსახელი — ღრიალა. არავისა და არაფერს

ეპუებოდა, იმისთვის სულ ერთი იყო დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი...

მაგრამ მთლად უშიშარი რაინდიც არ ბრძანდებოდა — წყლისა ეშინოდა. მხოლოდ სასმელად უყვარდა. სხვამხრივ სძაგდა. წყალდიდობა და ნიაღვრები ჟრუანტელს გვრიდა. ბანაობას სიკვდილი ერჩია. პატარობისას რომ ბანდნენ, მისი ღრიალი ქვეყანას ეყურებოდა. ახლაც, ცოლი რომ ჩხუბს დაუწყებდა, მურტალო და ზინტიანო, ფეხი მაინც დაიბანეო, — მთელ სოფელს ესმოდა. აბანოში მისული არავის ენახა. შინ კი ცოლი ძალით გახდიდა ტანსაცმელს, პატარა ბავშვივით ჩაჰკუნტავდა ვარც-ლში. თავში წათაქებ-წამოთაქებით, სულ ძალისძალით გღვრიჭავდა.

ერთხელ შვილის სასკოლო სახელმძღვანელოში რვაფეხას სურათს კარგახანს დაჰყურებდა, მერმე პირველი გადაისახა და თავისთვის ჩაიდუღლუნა:

— ღმერთო, შენი სამართლის ჭირიმე!.. წარმოგიდგენიათ, კაცი რო რვაფეხა ყოფილიყო! რა დაჰბანდა, გენაცვათ! ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი! იცის უფალმა, ვინ სად და როგორ უნდა იყოს!.. მაგრამ აი, ცალ ფეხზე რომ გვევლო... როგორმე ასეიქილას მიგჩვეულიყავით!.. ფეხსაცმელიც დაიზოგებოდა და წყალიც ნაკლები დაგვჭირდებოდა.

ჰოდა, ეს წყალმოდულე კაცი არხის მეთვალყურედ დანიშნეს. ცდილობდა, არხს მაინცდამაინც ახლო არ გაჰკარებოდა, დასაფრთხობსა და გასარეკს შორიდანაც დაუფრთხობდა ანგელოზებს — ისეთი ხმა ჰქონდა.

ბალ-ვენახებუორის ბილიკი არხის გასწვრივ გადიოდა. ზოგჯერ იძულებული იყო აქაც გაეგლო, რადგან საბანაოდ გამო-

სული ბიჭები ამ ადგილებში უფრო იხელთებდნენ ხოლმედროს.

იმ ზაპანაქება სიცხეში მდინარის წყალს თითქმის სულ არხში უშვებდნენ. დაწრეტილი მდინარის კალაპოტი კი გახურებულ რიყედ იქცეოდა. რა ექნათ ონავრებს! გოგოები მოწანწყარე წყლიდან გუბურებს იკეთებდნენ და შიგ როგორღაც ჭყუმპალაობდნენ. ცხადია, ბიჭები ასეთ ბანაობას არ დასჯერდებოდნენ.

არხთან თოფიანი ვანო გამოჩნდა. სოფლის თავკაცების დავალება უსიტყვოდ მიიღო. თავმჯდომარემ საჯაროდ ისეთი სიტყვა უთხრა — კაცი ვაიბადრა და სიამაყით აივსო. მართლა სანაქებო მეველე იყო, უყვარდა ზოგ-ზოგების გამოდევნება, ქეჩოში ხელის წაღება, მილიციაში და კოლმეურნეობის კანტორაში თავის მოწონება, ყურძნის, საზამთროსა ან ხეხილის ქურდბაცაცას რომ მიათრევდა.

ამიერიდან არხს მისი შიშით ვინ გაეკარებოდა! ვაზნები მართლით ჰქონდა დატენილი. იარაღის გადმოღება მარჯვედ იცოდა და არც მიზანს აცდენდა. ერთი-ორს სოფელში კიდევ მოხვედრია. იცინ მარილის არა მარტო სიმლაშე, სიმწარეც ღრიალა ვანოს შიშით ბალახი თრთოდა და ბუჩქები ცახცახებდნენ.

მაგრამ სოფლის ჭინკა ბიჭებიდან ყველაზე გამოჩენილთ — ლაბანთ ლალოს, კურკანთ კაკოს, მჭედლიანთ მიტოსა და გოდორაანთ გენოს, ვანო ლალიაშვილი კი არა, შეიარაღებული ოცეულიც ვერ შეაკავებდა — ცეცხლი სცივოდათ, დუღდნენ და გადმოდიოდნენ — არხის წყალი რა იყო, ოკეანეს გადასცურავდნენ. არხის ფსკერზე რომ დადგებოდნენ, წყა-

ლი კისრამდე სწვდებოდათ. აბა ეს რა წყალი იყო!

ბიჭებმა თადარიგი მაინც დაიჭირეს — გაგონილი ჰქონდათ, მარილის ტყევი მწარე რამ არისო. ვანოს ზემო სართულებში ცოტა ნიავე უქრის, ემანდ მოულოდნელად არ მოგვეპაროს და დუნდულები არ დაგვიმარილოსო. გენოს და, პატარა თამრიკო, არხზე შორიასლო წამოასკუპეს. ერთი უცნაური სიტყვა — „ათანდა“ ასწავლეს, ეს დაგვიძახე, როგორც კი ღრიალა გამოჩნდებოდა. თამრიკო დიდი ეშმაკის ფეხი იყო — ქალაბიჭების ერთი!

საბანაოდ ჩრდილიანი ადგილი ჰქონდათ ამოჩემებული ლაბანთ ვენახის თავში. ჩაცვივებოდნენ ბიჭები არხში — გაგისარიათ! დელფინებივით ადგაფუნდებოდნენ, ნებივრობდნენ, მერე ამოიწურწურებოდნენ, მზის გულზე დაეყრებოდნენ, თამრიკოს საგუშავგოც მოიხსნებოდა, გოგონა სიმღერით ჩაიკუნტრუშებდა თავიანთ ვენახში, სადაც ფიჩხის ქოხში ნიადაგ ბაბო ნატო ფუსფუსებდა...

თამრიკომ არაერთხელ დაიხსნა ბიჭები, არაერთხელ გააწვბილა ლალიაშვილი. მაღი-მალ კი ავიწყდებოდა „ათანდა“, ვანოს დანახვისთანავე არხის ბილიკზე გაიქცეოდა. ბიჭებთან მიირბენდა და ჭყუმპალაობაში გართულთ ჩასძახებდა:

— ღრიალა მოდის, ბიჭებო! ასე დიდხანს როდი გავრძე-ლდა. ლალიაშვილმა იყნოსა ბიჭების თვალთმაქცობა, არხს იმ მხრიდან დაუარა, სადაც მეთვალყურე არა ჰყავდათ და ზედ „დანაშაულზე“ წაასწრო მათ. თავისებურადაც უღრიალა, არხიდანაც ამოყარა და თოფიც დააქუნა. ამჯერად ჰაერში გაისროლა და ღრიალითვე მია-აყოლა:

— ეს ერთი ზემოთ მისვრია, მეორეს თავის ადგილზე გესვრით... ჰაიტ, თქვენნი...

ბიჭები დატიმნენ და ვენახებში შეცვივდნენ.

მაგრამ რა, ვითომ ამით დაშთავრდა ყველაფერი? თამრიკო რომ აღმა ჰყავდათ წამოსკუბებული, დაღმა მეორე გუშავიც გამოქმენეს — თამრიკოს კბილა გელა. მაგრამ ეს დიდი „მეჭრთამე“ ვინმე აღმოჩნდა. ბიჭებს ისე არ დაუდგა სამსახურში, სანამ ისინი ჯილა კოჭებს არ შეპირდნენ.

გადიარია ღრილა, როცა ერთხელაც, საიდან სად, ბიჭების ხმაური შემოესმა. ვენახებიდან ასეთი აზარტული შეძახილები რთვლობისასაც არ სმენია. დასცვივდა, ფეხს აუჩქარა, თითქმის სირბილით აიჭრა არხის ბილიკზე, ბიჭების ხმა უცებ მიწყდა, არხშიც არავინ ჩანდა. მომეჩვენა თუ რა ჯანდაბა იყო, შეეკვდა.

სწორედ ამ დროს, თითქოს მის ჯიბეზე, ზედ არხისპირა ბილიკზე თავისი ხბო გამოეყვანა ბაბალე ლაბაურს და მიაბიჯებდნენ. ეს ის ხბო იყო, ამ ცოტა ხნის წინ არხის წყალს რომ გამოსტაცეს ბიჭებმა, კარგი, ხბოს პატარა და უმწიფარი ტვინი აქვს, ვერ დაიხსომა თავისი უბედურება და ახლა ჩისერში თოქწაჭერილი მორჩილად მიჰყვება ბაბალეს. თვითონ ამ ქალს რაღამ დაავიწყა ის შავი დღე, წივილ-კივილით რომ შესძრა ქვეყანა?! ახლა ისე არხეინად მიაბიჯებენ ორივენი, თითქოს ის მწარე ღღე სიზმარში ენახათ.

ვაი, თქვენ დღეს, ბენტერებო!

ვანომ ფეხს აუჩქარა, რომ მიმავალთ წამოსწოდა, მაგრამ ველარ მოითმინა და იღრიალა: — ქვემო გზით ველარ წაიყვან მაგ ოხერსა?!

ეს ხმა მეხის გავარდნას გავდა.

იქნებ ღიღინითაც მიდიოდა ამ დროს ბაბალე. იქნებ რა ფიქრში იყო ქალი, ვინ იცის!

შეკრთა, ელდა ეცა და შეშინებულმა მოინება. კაცის ყვირილზე ხბო გაფრთხა, ჯერ უკან დაიხია, მერე წინ გასხლტა, ბაბალეს თოკი ფეხებში გაეხლართა, თავი ველარ შეიკავა და არხისაკენ ხელგასავსავებული გადაქანდა. ვანო წინ გავარდა, რომ ქალს მიშველებოდა. ველარ მოასწრო. ბაბალემ არხში ზღართანა მოადინა. მაგრამ სანამ წყალი პირს შეკრავდა და ქალს გულში ღრმად ჩაიკრავდა, განწირული ხმით შევივლა, მიშველეთო. დაბნეული ვანო აქეთ ეცა, იქით ეცა... ბროლოს მთელი ხმით აღრიალდა:

— გვიშველეთ, ხალხო! სადღაც ჩინჩხვრის ლაწალუ-

წი გაისმა, ვანოს ვილაც შეეხმინა... რომელიღაც ვენახის ღობეს ჭინკა ბიჭები გადმოეცნენ და დგაფადგუფით ზედიზედ ჩაცვივდნენ წყალში.

ვანომ არხისკენ იბრუნა პირი და წყლის ზედაპირზე დაინახა ბიჭები როგორ მოათრევდნენ ბაბალეს. ნაპირზე ვანოც წაიხარა. თადარიგი კი დაიჭირა, ფეხი მაგრად მოარგო მიწას, ემანდ არ დამიცდესო და წყალს ნაყლაპ ბაბალეს მარჯვედ ჩასჭიდა ხელები. ამ დროს ვენახებიდან ქალები გამოცვივდნენ, ერთი-ორი მამაკაციც გამობოძლდა. დაფაცურდნენ, ბაბალე ბალახზე მიაწვინეს, მაგრამ ერთმა დაიძახა, არ მოკვდეს ეგ უბედური, ნაყლაპი წყალი უნდა ვაღვრევივითო. ყირამალა დაჰკიდეს, წყალი აღვრევივით, ისევ მიწაზე მისვენეს და ვილაც გამოცდილმა ხელოვნურ სუნთქვაც ჩაუტარა.

როცა ქალმა თვალები აახილა, ვანომ მაშინდა მოიწმინდა სიმწრის ოფლი. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თავისი იარაღი მოიძია, რა დროს და როგორ გადიგდო, აღარც ახსოვდა. ფათაფუთში ბილიკზე მიეგდო. სანამ თოფს დასწვდებოდა, შორიასლო მდგარ ტრუსების ამა-რა სველ-სველი ბიჭებისაკენ გაიწია.

გმირი ბიჭები — ლაბანთ ლადო, კურკანთ კაკო, მჭედლიანთ მიტო და გოდორაანთ გენო, ნიშნის მოგებითა და ზვიადად უყურებდნენ არხის გაფითრებულ მეთვალყურეს. ვანოს უბადრუკი ღიმილი მოეფინა, კაცი რომ დანაშაულს იგრძნობს და დაიმორცხვებს, სწორედ ისეთი. ბიჭებისკენ ხელებგაწვდილი მოდიოდა.

— თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო... ე, რა ყოჩაღი ბიჭები ყოფილხართ, კაცო! თქვენ გენაცვალეთ, რო დროზე...

ბიჭებმა უკან დაიხიეს, ემანდ ასეთი ფანდით არ მოგვწვდესო... ვანოც შეჩერდა, ბაბალეს მიხედვა უნდოდა, მეზობლებს უკვე ატატებინათ და შინ მიჰყავდათ მისავათებული და მივარდნილი.

იმავე საღამოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაიბარა ვანო ლალიაშვილი და გამოუცხადა:

— მარტო თვალთვალი, ხო ხედავ, საქმეს არა შველის. ცურვა უნდა ისწავლო!

ვანომ ჯერ ქვეშ-ქვეშ შეხედა თავმჯდომარეს, მეხუმრება თუ მართალს მეუბნებაო, ეჭვი შეეპარა. მერე მარცხენა წარბი აუცახცახდა. როცა შეატყყო, თავმჯდომარე არა ხუმრობდა, თოფი და პატრონტაში მოიხსნა, იქვე, მაგიდაზე დაუწყო და უთხრა:

— შენ ისეთი რამე მითხა-

რი... ხელს ვიღებ ყველაფერზედა!

— შეველობაზედაცა?

— ჰოდე! ცურვა არა, ისა...

— ქალი რო ლამის დაიხრჩო?! — ხმას აუწია თავმჯდომარემ.

— ეგ რა ჩემი გადასახდია! დროზე გაეფრთხილე, ეგრე ნუ მიდიხარ-მეთქი. იშვირა ფეხი და გადახტა.

— თვითონა?

— თვითონა...

— მაშ თვითონ გადახტა?!

— არა, ბიჭო, მე ვკარი ხელი! — გაცვივდა ვანო, — თვითონა, მა რა. ნამდვილად ეგრე იყო!

თავმჯდომარემ თავი გააქნია. მერე იფიქრა, მეტისმეტი არ მომივიდეს ამ კაცთან, ამის ბადალ მეველეს საღლა ვიშოვნო და ისევ დაუტკბა:

— ჰო, კარგი, ნუ ცხარობ. ე, რა ფხუკიანი ხარ, კაცო. ბიჭოს! ჯერ იყო და მაგის ხბომ შესძრა სოფელი, ახლა მაგანა. ღირსი კი იქნებოდა რო...

ლამის წამოსცდა, დამხრჩვალყო. ენაზე იკბინა, რადგან უგულო კაცი არ იყო. თოფი აიღო და ვანოს გაუწოდა.

— გამომართვი! ფხუკიანობა როდი ვარგა!

— რა ვიცი, ისეთი რამე თქვი რო... — ჩაიბურტყუნა ვანომ. თოფს ბოლომდე ვერ შეეღია და თავმჯდომარეს მაშინვე გამოართვა.

... რასაკვირველია, ბაბალეს გადარჩენის ამბავს უკვალოდ არ ჩაუვლია, სოფელს მოედო, რაიონს მოედო... და ერთ დღეს ლაბანთ ლადოს, კურკანთ კაკოს, მჭედლიანთ მიტოსა და გოდორაანთ გენოს სოფლის კლუბში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. რაიონის წარმომადგენელიც ესწრებოდა, წყალწაღებულის გადარჩენისათვის მედლების გადასაცემად.

ამ დროს ბაბალე შინ იწვა შეუძლოდ იყო. გვარიანად შეშინებულს ნევროპათოლოგი აკითხავდა.

ვანო ლალიაშვილი კი დარბაზის პირველ რიგში გამოჭიმულიყო. მართალია, კუშტად იყურებოდა, მაგრამ ბიჭები გრძნობდნენ, რომ მეველის გულში მათ დიდი სიმპათია ჩანერგეს. დროდადრო, როცა დარბაზი ტაშს დასცხებდა, ლალიაშვილი მგრძნობიარედ ახამხამებდა თვალებს და ტაშს ისიც გამეტებით უკრავდა.

ბიჭებს ბევრი საქმეარი სიტყვა უთხრეს, მედლები ჩამოჰკიდეს, საჩუქრებიც გადასცეს. ფოტორეპორტიორმა, რაიონული გაზეთიდან საგანგებოდ რომ მოავლინეს, სურათი გადაუღო. საღამო როგორი ზარ-

ზემითაც დაიწყო, ისეთივე ზარზემით დამთავრდა.

შინ მისულ ვანო ლალიაშვილს ცოლმა მეხი და მედგარი დაახვედრა:

— თვის ზენო, ტუტუტუ და ზინტიანო!.. ცურვა რო გცოდნოდა, იმ მედლებს ხო შენ დაგკიდებდნენ, გაზეთშიც გამოგკიმავენენ და სახელოვანი კაცი იქნებოდი!..

წამიერი ღუმილი ჩამოვარდა. ვანომ ქვეშ-ქვეშ გახედა ცოლს:

— ბაბალეს გულისთვისა?

ამას კი არ მოელოდა ქალი, უარესად განრისხდა და ღონიჭი შემოიყარა, ენა დაება, სიტყვების მაგივრად რაღაც გაუგებარი რამ გადმოყარა. მერე ორივე ხელით ქმარს ქოქოლა მიაყარა და გარეთ გაენტო.

ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ბაბალეზე თქვეს, მომჯობინდაო და გარეთ გამოსულიც უნახავთ, თავის ვენახში მოფუსფუსე. მაგრამ მანამდე, ვიდრე ბაბალე შინიდან გამოვიდოდა, ბიჭებთან შეხვედრის მეორე დღეს აი რა მოხდა:

ვანომ მდინარის გაღმა ჭალები რომ მოიარა, სოფლისკენ აღმართს შეუყვავა. ამ დროს იწურებოდა, მზე გვერდულად უყურებდა დედამიწას, აცხუნებდა კი. ო, როგორ აცხუნებდა! ნიავიც არა ქროდა და ჭალაში ბული ტრიალებდა.

აღმართი რომ ამოიარა ვანომ, ეს რა ლალი ხმები მეყურებო, შედგა და სული გატრუნა. ხმები არხიდან ისმოდა. საიდან სადა და ასეთი ხმები! გათამამებულან ვილაცანი. წამიც და ვანო არხთან აიჭრა. მერე ელდნაჟრავივით შედგა და რასა ხედავს: ბიჭები მხიარულ მალაყებს გადადიან, ერთმანეთში ირევა შიშველი ფეხები, მკლავები, ჩამოწურწურებული შავ-შავ ქოჩორა თავები, წყლის შეხვეები...

— აუ, შენი გულისა!

— გენავე!

— მიდი, ლადო!

— მოუსვი, გენო!

ვანო ლალიაშვილმა ერთი ღრმად შეისუნთქა და დასქეპა:

— ჰაიტ, თქვე სამგლებო!

თითქოს ერთბაშად გაქვავდა არხის წყალი. ბიჭების თავები ზედაპირზე ატორტმანდნენ. იღგნენ და ვანოს უზომო გაციებით მისჩერებოდნენ.

ვანომ მარჯვედ გადმოიგდო თოფი.

— ვერ გვიცნო, ოხერმა! — ჩაიღუღღუნა კაკომ და სველ თმაზე ხელი ჩამოისვა, მერმე სახეზე ჩამოიწურა წყალი და თვალები უკეთ აახილა, — ჩვენა ვართ, ვანო ძია!

— გხედავთ, რო თქვენა ხართ და სხვები არა. წითელი კოჭები გამოჩნდით, რაღა! კოკა ყოველთვის კი არ მოი-

გარუნ აკოვოვი,

საქართველოს სსრ დამსახურებული
შრომალისტი.

არასოდეს მოვიცილება

ტოკიოს ოლიმპიადაზე, რომელიც 1974 წელს გაიმართა, საბატო სტუმართა შორის იმყოფებოდა ცნობილი ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების სამი ოქროს მედლის მფლობელი ემილ ზატოპეკი.

ყველგან, სადაც კი თვალს მოჰკარავდნენ, საქვეყნოდ ცნობილ მორბენალს უამრავი ხალხი ეხვეოდა. ემილ ზატოპეკს ავტოგრაფებს სთხოვდნენ სტადიონის ტრიბუნაზე, ქუჩაში, სასტუმროში, კაფეში, მაღაზიაში...

თავგანისმცემლებმა ისე მოაბეზრეს თავი, რომ სპორტსმენმა მარჯვენა ხელის ტკივილი მოიმიზეზა და ავტოგრაფს აღარავის აძლევდა.

იმ საღამოს ემილ ზატოპეკი სტადიონიდან ჟურნალისტებისათვის გამყოფილი ავტობუსით ბრუნდებოდა სასტუმროში.

— საიდან ხართ? — მკითხა ემილ ზატოპეკმა, როცა ჩემ გვერდით თავისუფალ სავარძელზე ჩამოჯდა.

— საქართველოდან. სპორტული ჟურნალისტი გახლავართ.

— სასიამოვნოა.

ჩემი მეზობელი ჩაფიქრდა და ღიმილით დასძინა:

— საქართველო, გამიგია, წარმატაცი მხარეა...

საუბარს შევეყვით.

ემილ ზატოპეკი ჩეხური აქცენტით თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად.

ის-ის იყო სასტუმროს მივადექით, რომ მორიდებით ჩავიდულუნე:

— ხელი რომ არ გტკიოდეთ, ალბათ ავტოგრაფს მომცემდით, არა?

სახელოვანმა სპორტსმენმა გაიღიმა, მერე მიიხედ-მოიხედა და ლამის იყო, ჩურჩულით მითხრა:

— მიბოძეთ ბლოკნოტი.

— ბლოკნოტი?

— კი. ავტოგრაფი უნდა მოგცეთ.

აი, ასე შემომრჩა მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენის, დღემდე გახუმეორებელი მორბენლის ემილ ზატოპეკის ავტოგრაფი.

იმასაც მოგახსენებთ: როცა თბილისში დამზადებული სამკერდე ნიშანი ვაჩუქე, ჩემმა მეზობელმა ციცქნა სუვენირი რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, ახედდასხედა და ჩვეული ღიმილით მითხრა:

— კოხტაა და ორიგინალური. იცოდეთ, არასოდეს მოვიცილებ.

ერთადერთი

ჩვენი სპორტსმენები ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდნენ.

ტყვიით მსროლელთა შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და ევროპის პირველობებში გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი შოთა ქველიაშვილი.

ჩვენი თანამემამულე, როგორც იტყვიან, ფორმაში არ იყო.

მწვრთნელებმა იმსჯელეს. თითოეული სპორტსმენის საბოლოო შედეგზე ერთხელ კიდევ გულდასმით შეაჯამეს, ქველსავე აწონ-დაწონეს და შოთა ქველიაშვილის საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდიდან გამოყვანა გადაწყვიტეს.

ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა საქართველოს სპორტკომიტეტი.

ქართველ სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ შოთა ქველიაშვილის წარუმატებლობა დროებითი იყო. მონღოებმა, ვარჯიში, გამოცდილება, სპორტული მონაცემები თავისას გაიტანდა და შოთა ქველიაშვილი უმოკლეს ხანში უთუოდ აღიდგენდა სპორტულ ფორმას.

ქართველი სპეციალისტების მოსაზრება მოსკოვშიც გაიზიარეს. შოთა ქველიაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა.

როცა ჩვენი თანამემამულე ოლიმპიადის ერთ-ერთ სარბიელზე სასროლად გამოვიდა, გულმა ბაგაბუვი დამიწყო.

საქართველოდან წარგზავნილმა გვასახელა.

წარმატებას წარმატება მოჰყვა. შოთა ქველიაშვილმა სროლა დაამთავრა, ფეხზე წამოდგარი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, სახელოვან საბჭოთა სპორტსმენს.

ხომ გახსოვთ, შოთა ქველიაშვილის ბრინჯაოს მედალი ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც ტოკიოს XVIII ოლიმპიადაზე საბჭოთა ტყვიით მსროლელებმა მოიპოვეს.

გადაღობთ, გივი!

მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილება ავთანდილ ქორიძის საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში შეყვანაზე, ზოგიერთ სპეციალისტს ნაჩქარევად მოეჩვენა.

— ახალგაზრდაა.

— გამოუცდელი.

— ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი არ გამხდარა.

— რომის ოლიმპიადაზე თავს ვერ გამოიჩენს.

მოჭიდავეთა მომზადების ხელმძღვანელი არკადი ლენცი სულ სხვა მოსაზრების გახლდათ: მას სწამდა ავთანდილ ქორიძის ძაღლისა.

— ავთანდილს შენ გაბარებ, მოუარე და გაამხნევე, — უთხრა არკადი ლენცმა გივ. კარტოზიას, როცა რომში ოლიმპიურ სოფელში ჩავედით, — აჰა გასაღები, ამ ბინაში თქვენ ორნი იცხოვრებთ.

გამოცდილმა მწვრთნელმა კარგად იცოდა, ვის ჩააბარა ახალგაზრდა მოჭიდავე.

ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, საქვეყნოდ ცნობილი ფალავანი გივი კარტოზია თანამემამულესთან დასახლდა.

რამდენჯერმე ვეწვიე მათ.

გივი უფროსი ძმასავით დაჰფოფინებდა ავთანდილს: ართობდა, ამხნევებდა, არიგებდა. ის კი არა, ხშირად თვითონ მიდიოდა სასადილოში და ორი ულუფა კერძი შინ მოჰქონდა.

ვისხედით და ვუსმენდით გივის.

ტანს წყალსა! რაღას უდგებართ, ამოდით-მეთქი! — კვლავ იღრიალა ლალიაშვილმა და თოფი მოიმარჯვა. ყოველ შემთხვევისათვის მარლით დატენილი ვაზნა საკეტით მაინც ჩაჩხირა ლულაში.

ბიჭები გაღმა ნაპირზე აიწურწურნენ. ლაბაანთ ლადომ არც აცია, არც აცხელა, იქიდან გამოსძახა:

— უმადურო!

— ვის უბედავ მაგასა, შეჭინკავ, შენა! ჰაიტი! — თოფი დაუმიზნა და ჩახმასხს გამოსწია. იარაღმა უმტყუნა. სანამ ვაზნა გამოცვალა, ბიჭებმა ჩინჩხვრის ლაწალუწით შეირბინეს ვენახში.

— დაუნახავო, უმადურო! — საღდაც წკრიალებდა უკვე რამდენიმე ბიჭის ხმა. ლალიაშვილმა თოფი მაინც დააქუხა ჰაერში და იღრიალა:

— ყოფას გიტირებთ, ყოფასა! თევზსაც არ გავაჭაჭანებ ამ წყალში, არა, არა!

ო, რა ცეცხლოდებული იყო, ცოფებსა ყრიდა.

... ერთხელაც, არხის ბილიკზე ბაბაღეს შემოეყარა. „არა, ნამდვილად უტვინოები არიან ესა და თავისი ხბო“, — დაასკვნა ლალიაშვილმა.

ამჯერად ბაბაღეს ხბო არ ახლდა, მაგრამ ქალს განრისხებულ თვალეში ეტყობოდა, რომ სწორედ ამ შეხვედრას ელოდა.

— რა გინდოდა, რას მერჩოდი, — უმალვე შეტევავზე გადავიდა გაკაპასებული ქალი, — იქნებ ჩემი ხბო მოგივიდა თვალში და იმისი წაყვანა მოინდომე? — ანგარიში აღარ ჰქონდა, რას ამბობდა.

ერიპა, ალბათ წყლის შიშმა შეშალა ეს საცოდავიო, ცოტა არ იყოს, გული შეუქანდა და შეფიქრიანდა ლალიაშვილი. ქალს არ შეეპასუხა, იქნებ ამით მოიოხოს გული და გზიდან ჩამომეცალოსო.

— ჰა, რას მერჩოდი, რასა, შე ჩემი ცოდვით სავე!

— მე? შენა?

— ჰო, შენა, შენა!.. ეგრე რო გამომედო თოკი ფეხებში... ის თოკი ხო შენ მესროლე, არა... მერე ეგრე რო წავედი... — დაიცა, რა ღმერთი გიწყურება, ახლაც არ გადავარდე, შე შეჩვენებულო!..

— არა, უნდა გაჩვენო... ეგრე რო წავედი და შენ გვერდში გამკარ ხელი... მა ვინ იყო, ვინა?.. შენს მეტი აქ არავინ ყოფილა, არა!



ეს საუბარი, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, საჭირო და სასიკეთო გამოდგა ავთანდილ ქორიძისათვის.

მსუბუქი წონის მოჭიდავემ გივი კარტოზიამ, რომელიც პირველად გამოდიოდა ნახევრადმძიმე კატეგორიაში, კვლავაც გვასახელა და რომის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ჯერი ავთანდილ ქორიძეზე მიდგა. ახალგაზრდა მოჭიდავემ ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა.

ცოტა კიდევ და, ავთანდილ ქორიძემ უკან ჩამოიტოვა გამობრძმედილი მეტოქეები — ფინელი კიოსი ლენტონენი და შვედი გუსტავ ფრეა, რომელსაც მოჭიდავეები — „გაუტეხელ რკინას“ ეძახოდნენ.

ავთანდილ ქორიძე ფინალში იუგოსლაველ ბრანკო მარტინოვიჩს ხვდებოდა.

საჭიდაო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ჩვენი ბიჭები ლელავდნენ.

არასოდეს დამავიწყდება სახელოვანი ფალავნის გივი კარტოზიას სახე. ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბრანკო მარტინოვიჩმა ხელსაყრელი დრო იხელთა, ვეფხვევით ისკუბა და მოულოდნელი ილეთის ჩასატარებლად მოემზადა.

გივის გახედვით. შემართული იჯდა, თავი მოელო, საჭიდაო ხალიჩას ენით გამოუთქმელი დაძაბული სახითა და დაკვეცილი თვალებით გასცქეროდა.

იუგოსლაველ მოჭიდავეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ავთანდილმა იმარჯვა. გასხლტა, მოითქვა სული და თვითონ გადავიდა შეტევაზე.

გონს მაშინ მოვეგე, როცა დარბაზში მქუხარე ტაშმა იგრიალა.

პირველი გივი კარტოზია იყო.

წამოდგა, რამდენიმე ნახტომით საჭიდაო ხალიჩასთან გაჩნდა, ხელში აიტაცა გაოფლილი ავთანდილ ქორიძე, ჩაჰკოცნა და რომის ოლიმპიადის დიდი ოქროს მედალი მიულოცა.

როცა დავმოშინდით, წამიერმა ღუმელმა დაისადგურა.

ეს ღუმელი არკადი ლენცმა დაარღვია.

მოკლე, მოზომილი ნაბიჯით გაერიდა შეკრებილებს. მივიდა, კუთხეში ატუხულ გივი კარტოზიას მხარზე დაადო ხელი და ყველას გასაგონად დასუქქა:

— გმადლობთ, გივი! ამ ოქროს მედალში შენი წვლილიც არის.

სარწიანი სამე

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად მოხშირდა ინდიელთა უძველესი საფლავების გაქურდვა. არიზონის შტატის უკაცრიელ რაიონებში ხშირად შეხვდებით ბარბოთა და წერაქვებით აღჭურვილ ადამიანებს, რომლებიც ინდიელთა საფლავებს დაეძებენ.

ეს საქმე სარწიანი გამოდგა. ნივთები, რომლებიც ინდიელ მიცვალებულებს ჩაატანეს, ძვირად ფასობს.

მაგალითად, ორნამენტებით მოჩითული ერთ-ერთი კერამიკული ვაზა შავ ბაზარზე 10 ათას დოლარად გაიყიდა.

სიმღარა თუთუნზე

მადრიდის გაზეთი „ბაისი“ იუწყება, რომ ვინმე დანიელ ორტასმა ესპანეთის სიგარეტების კომპანია „ტაბაკალერა ესპანიოლას“ ორიგინალური რეკლამა შესთავაზა.

დანიელ ორტასი წინადადებას იძლევა, მისი 27 სიმღერა, რომლებიც თუთუნს ეძღვნება, ფირფიტაზე ჩაიწერონ და „ტაბაკალერა ესპანიოლას“ კომპანიის სიგარეტების არამწველებს სუვენირად დაუთვონ.

შეთავაზებულ „შედევრებს“ შორის აღსანიშნავია სიმღერები: „შენი კოცნა და ჩემი სიგარა“, „ვეწვევი და გელი“, „ლექსები პორტსიგარიდან“, „კვამლში ვხედავ შენს ცისფერ თვალებს“...

კლიენტების მისაზიდად

ჩიკაგოს ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელმა კლიენტების მისაზიდად ასეთ ხერხს მიმართა: ჰოლში, სადაც დოკუმენტები ფორმდება, დადგმულია სასწორი. სასტუმროში მოსულ ყველა ცოლ-ქმარს წონიან. თუ მათი საერთო წონა 90 კილოგრამს არ აღემატება, მეუღლეები ნომრის საფასურიდან თავისუფლდებიან.

ცოლ-ქმარი, რომელთა საერთო წონა, 225 კილოგრამს სჭარბობს, დაწესებული გადასახადის მხოლოდ ნახევარს იხდის.

ახალი კერძები

ბერლინის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება, რომ ფილიპინელთა კვების რაციონში ახლანახალი კერძები შეიტანეს.

რესტორნების მენიუში შეხვდებით ისეთ „გემრიელ და მაღალკალორიულ საჭმლებს“, როგორიც არის, მაგალითად, გველის ხორცი და მზადდებული წვნიანი. მომხმარებელს სთავაზობენ აგრეთვე ნიანგის კვერცხებს, დაშაშხულ ღამურებს, შებრაწულ წყლის ქირთხებს...

გასართობად, გასამხნეველად

სამუშაოს ძებნა, შიმშილი, უსახლკარობა, მომავლისადმი უიმედობა — აი მილიონობით ამერიკელის ხვედრი.

სოციოლოგებმა იფიქრეს, იფიქრეს და ამერიკელთა გასართობად და გასამხნეველად კიდევ ერთი „ეფექტიანი“ საშუალება მოიფიქრეს.

ვაშინგტონში მუშაობა დაიწყო ახალმა რადიოსადგურმა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ გადასცემს... ანეკდოტებს.

სახალისო ანეკდოტების მოსმენა ნიუ-იორკში, გარკვეული ნომრის აკრეფით, ტელეფონითაც შეიძლება.



„დროშის“ კათილი მუშაკები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში ყურნალ „დროშას“ ბევრი კეთილი მეგობარი ჰყავს. მათ შორის არიან მემონტაჟე ნაწილი დანელია, ლინოტიპისტები ლია ლაზაშვილი და ციური ბარბაქაძე.

ნაწილი წლების მანძილზე დიდი მხატვრული გემოვნებით ამონტაჟებს „დროშას“ და სხვა ყურნალებს, რისთვისაც მას მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

სამი შვილის დედა ლია ლაზაშვილი საამწყობო საამქროს დაულალავი მუშაკია, საუკეთესო ლინოტიპისტი, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე.

გამოცდილი ლინოტიპისტი ციური ბარბაქაძე ორჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით. იგი ღირსეულად ატარებს შრომის დამკვირვების სახელს.

სამივე დობილი კოლექტივის საერთო სიყვარულთა და პატივისცემით სარგებლობს.

სურათზე: ზის ლია ლაზაშვილი. დგანან — ნაწილი დანელია (მარცხნივ) და ციური ბარბაქაძე.

ყოველი მეშვიდე

შვეიცარია, როგორც ცნობილია, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე „მშვიდ“ ქვეყნად ითვლება.

შვეიცარიის სადაზღვევო საზოგადოებათა საინფორმაციო ცენტრი იუწყება, რომ ქვეყანაში ყოველ საათში ხდება 44 შეიარაღებული ძარცვა. შვეიცარიელთა ბინებიდან ქურდებს დღეში საშუალოდ 640 ათასი ფრანკის ნაძარცვი გააქვთ.

ყოველი მეშვიდე დაზღვეული შვეიცარიელი სისხლის სამართლის დამნაშავეთა მახეში ეგება.

წერილი საიქიოდან

ამერიკელმა ჯოუნა მერფიმ, რომელიც ნიუ-იორკის შტატში ცხოვრობს, იმავე შტატიდან გამოგზავნილი თავისი ქმრის ბეჭდის წერილი მიიღო.

მართალია, ჯოუნა მერფის ქმრის ბეჭდი ორმოცდაათიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ ნიუ-იორკის შტატის ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში მისი წერილის მისვლას ზუსტად 53 წელი დასჭირდა.

ორი მილიარდი პერატი

ესპანეთის ქალაქ მარბელში ბანდიტებმა პირწმინდად გაწმინდეს ბანკის 186 სეფი.

მადრიდის გაზეთი „პაისი“ წერს, რომ ეს იყო ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძარცვა. ზუსტი თანხა ჭერჭერობით უცნობია. ვარაუდობენ, რომ ბანკიდან გატაცებული ძვირფასეულობა და ფული, სულ ცოტა, 2 მილიარდ პესეტს შეადგენს.

კოცნის რეკორდი

24 წლის ბარბარა კეინი და 20 წლის დინო დელორენი, რომლებიც ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინაში იხდნენ, 144 საათი კოცნიდნენ ერთმანეთს.

ყოველ საათში ისინი მხოლოდ ხუთი წუთი ისვენებდნენ.

მაღაზიის მენეჯერებმა ეს ატრაქციონი მხოლოდ მუშტრის მოსახლად მოაწყვეს.

რეკორდსმენის ფრჩხილები


„გინესის რეკორდების წიგნში“ 1983 წლიდან შეტანილია ინდოელი შრიდხარ ჩილალი, რომლის რეკორდის მოხსნა ჭერჭერობით ვერავენ შეძლო.

1952 წლიდან შრიდხარ ჩილალი ხელის თითებზე იზრდის ფრჩხილებს. მისი ხელის ფრჩხილების საერთო სიგრძე სამ მეტრზე მეტია.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ შრიდხარ ჩილალმა გადაწყვიტა, ფრჩხილები დაიჭრას და გაყიდოს.

რეკორდსმენის ფრჩხილების შექმნის მსურველები, ალბათ, აღმოჩნდებიან.

კროსვორდი



თარაზულად: 5. დაბალი ტიხარი, მოაჯირი; 6. ცხოველი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც; 7. მატარებლის შემადგენლობა; 10. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თავზე; 11. ინგლისის უძველესი სახელწოდება; 16. უფრო სუსტი ქვეყნებისათვის თავისი პირობების თავზე მოხვევა; 17. ელექტრომაგნიტური გენერატორი; 18. აღმინისტრაციული ორგანო; 19. პირადი ინტერესების საზოგადოებრივ და სხვა ადამიანთა ინტერესებზე წინ დაყენება; 20. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები.

შვეულად: 1. უკრაინული მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი; 2. პატარა წიგნი, გამოცემული, ჩვეულებრივ, რბილი ყდით; 3. ფეთქებადი ნივთიერება; 4. რიცხვი; 8. ატაშეს საგამგებლო; 9. ყველაზე მაღალი ტემპრის მქონე ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი; 12. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 13. ქიმიური ელემენტი; 14. ბამბის ან სელის ნახევრად გამჭვირვალე წმინდა ქსოვილი; 15. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი.

შეადგინა ვაჰა ვახტანგაძემ

კორექტორი ცისანა სიჰინავა
მონტაჟი ნანული დანელიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: წყალტუბო, სანატორიუმი „საქართველო“. ფოტო ბონდო დვალისვილისა;
გარეკანის მეოთხე გვერდზე: ყაყაჩოები. ფოტო მერაბ ღვინაძისა.


გადაეცა წარმოებას 12.02.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.03.86. უე 04560. ქალაქის ზომა 70x1631/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფინიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50000. შეკვ. 398. ფასი 35 კაპ.

ჩი0096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შრომისუმი მასალა აკრობს არ უბრუნდება.





ქართული
ბიბლიოთეკა



დილამშვიდობისა.
ფოტო ილარიონ ბაევისა.

6204/53

საქართველოს
ფოტოგრაფიული
საზოგადოებრივი
ცენტრი

